# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბრძოლის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


პარასკევი, 23 თებერვალი. 2018 წ. №39 (8440), გამოცემის მე-100 წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


სამი თარიღი

# ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტი – 100
# საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა – 100
# გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – 100




ჩვენი გაზეთი „ საქართველოს რესპუბლიკა“ წლეულს 100 წლისა ხდება. მისი პირველი ნომერი 1918 წლის 25 ივლისს გამოვიდა, როგორც ოფიციოზი, მაღალპროფესიულ დონეზე ასრულებდა მოვალეობას – მკითხველს ქვეყანაში არსებული მდგომარეობის სრულ სურათს აწვდიდა.

სულ 3 წელი და 8 თვე იარსება მაშინ „საქართველოს რესპუბლიკამ“. მეტი აღარ აცალა მეზობელმა წითელმა რუსეთმა. თავს დაესხა დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარ საქართველოს და მოახრჩო, როგორც მანამდე მეზობელი აზერბაიჯანი და სომხეთი...

აი, „საქართველოს რესპუბლიკის“ ბოლო, 1921 წლის 23 თებერვლის ნომერი – იმედიანი მოყიჟინე, მრავალფეროვანი...

იგი კოჯრის გმირული ბრძოლის ათინათით არის გაჯერებული. უმალ პირველ გვერდზე განთავსებული განცხადება გეცემათ თვალში, მტერთან ბრძოლის პირველი მსხვერპლი ქალის, მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის მარო მაყაშვილის გმირული დაღუპვის შესახებ...

შემდეგ გენერალური შტაბის 22 თებერვლის ცნობაა. გვაუწყებს, რომ „დამარცხებული მტრის მდევარმა, ჩვენი ჯარის მოწინავე რაზმმა გუშინ: (22 თებერვალს) საღამოს აიღო სოფლები კუმისი და წალასკური. კუმისთან ხელთ ვიგდეთ მტრის 8 ტყვიამფრქვევი, დავატყვევეთ 3 ოფიცერი და 53 წითელარმიელიო...

კახეთში გლეხებმა დაიწყეს სასტიკი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკების ცხენოსანი რაზმის წინააღმდეგო. მტერმა დარიალშიც სცადა ჩვენს პოზიციებთან მოახლოება, მაგრამ უკუგდებულ იქნაო, გაგრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეჩერებულია“.

თავდაცვის საბჭოს დადგენილებით თბილისის გამაგრებულ რაიონში (თბილისში, მცხეთაში, დიღომში, ავჭალაში, დიდ და პატარა ლილოში, ნორიოში, მარტყოფში, ახალსოფელში, და ამავე რაიონის ყველა სხვა სოფელში 21 თებერვალს მობილიზაცია გამოცხადებულა.

წერილი „ერის მოღალატენი“ გვაუწყებს, რომ 15 თებერვალს შულავერში შედგა ბოლშევიკური რევოლუციური კომიტეტი, რომელმაც თავი გამოაცხადა საქართველოს მთავრობად და საბჭოთა რუსეთის ჯარს მოუძღვის საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ, ამ კომიტეტში შედიან საქართველოს მშრომელთა ცნობილი მოღალატენი: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია. ამ მოღალატეთა სიას ამშვენებენ ჰაიკ ომარი და ამაიაკ ნაზარეტინი. ძრწოდეთ და გეშინოდეთ უბადრუკნო, ქართველი ერის საუკეთესო შვილთა სისხლში ხელებგასვრილნოო!

„დედა-ქალაქი გადარჩა“, ასე ჰქვია წერილს, თუ როგორ გადაურჩა თბილისი მტრის ხელყოფას მისი დამცველების თავგანწირვის შედეგად.

ვიგებთ, რომ „დღეს, 23 თებერვალს, დილის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ძმურ საფლავში დაკრძალავენ ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირებს“.

„ფეხზე დამდგარა ქართლი“ – გვატყობინებს, რომ გუშინ, ტფილისში პირველივე დაძახებაზე ჩამოვიდა ქართლელ მოხალისეთა მრავალრიცხოვანი რაზმი, პოლკოვნიკ არჩილ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით. გორში და ცხინვალში შეუკრებიათ 25 მილიონი მანეთი ფრონტის დასახმარებლად. მცხოვრებლებს თავისი ფეხით ჩამოუტანიათ და წამოსაღებად დამზადებულია 7 ვაგონი პური.

არის მონაცემები სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის თაობაზე.

ნომერი აღსავსეა გამარჯვების რწმენით, მტრის სიძულვილით, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე ბრძოლის მოწოდებით. თითქოს არაფერი გვაგრძნობინებს კატასტროფას, მაგრამ ის მოხდა – 25 თებერვალს წითელი რუსეთის XI არმია, რომელსაც წინ ქართველი კომუნისტები მოუძღოდნენ, თბილისში შემოვიდა.

დემოკრატიული რესპუბლიკა დამარცხდა, გამოცხადდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნა.

ჩვენი გაზეთიც დემოკრატიულ რესპუბლიკასთან ერთად დაეცა. 23 თებერვლის ამ ნომრის შემდეგ იგი აღარ გამოსულა და მხოლოდ 69 წლის შემდეგ აღსდგა მკვდრეთით და მუხლჩაუხრელად დგას ქვეყნის მშენებელთა რიგებში.

**„საქართველოს რესპუბლიკა“,**
23 თებერვალი, 2018.

იხ. 3-4 გვ.

## საქართველოს პოზიცია კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით გაუარესებულია

2

სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის!..




## უვიცი, სულელი, ჩათლახი

6

## სახალხო მხატვრის გივი თორიძის პატივება



7

# თბილისის ფორუმზე ახალი მარშრუტების განვითარებას ჩაეყრება საფუძველი



**თბილისის ფორუმზე საფუძველი ჩაეყრება ახალი მარშრუტების განვითარებას, რაც ჩვენს ქვეყნებს კიდევ უფრო დააკავშირებს,** — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა საერთაშორისო საავიაციო ფორუმის CONNECT 2018-ის ოფიციალურ მიღებაზე სიტყვით გამოსვლისას.

აღნიშნული ფორუმის საიუბილეო მე-15 ღონისძიებას, რომელიც თბილისში მიმდინარეობს, მსოფლიოს 65 ავიაკომპანიისა და 250 აეროპორტის 500-ზე მეტი წარმომადგენელი ესწრება. აღნიშნული მასშტაბური ფორუმი ყოველწლიურად ევროპის რომელიმე ქვეყანაში ტარდება. პირველი ვიცე-პრემიერის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, ფორუმი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კავშირების გაღრმავებაში, ხელს უწყობს ადამიანებსა და ბიზნესებს, მოიძიონ ახასაქმიანობისთვის, ეხმარება ქალაქებსა და ქვეყნებს, ტურისტების მოსაზიდად უფრო ეფექტური და ხელსაყრელი გზები მოიძიონ.

# საჰაერო გლობალურ ბაზარზე საქართველოს კონკურენტუნარიანობა გაიზრდება

**საქართველოს მთვრობას იმედი აქვს, რომ საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურეობის გლობალურ ბაზარზე სამომავლოდ საქართველოს კონკურენტუნარიანობა გაიზრდება. აღნიშნულის მიღწევას კი ხელისუფლება „საგადასახადო კოდექსში“ შესატანი ცვლილებებით შეეცდება, რომლის მიხედვითაც დღგ-სგან განთავისუფლდება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ფარგლებში საჰაერო ხომალდებისათვის ტექნიკური მომსახურების გაწევა.**

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, შპს აეროპორტების გაერთიანების დირექტორი ქეთი ალექსიძე განმარტავს, რომ ამ ეტაპზე ქვეყანას საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სრული სპექტრის გაწევა არ შეუძლია, თუმცა შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა უკვე დაწყებულია.

**„როგორც თქვენთვის ცნობილია, საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების სრულმასშტაბიანი ცენტრი საქართველოში არ არსებობს. ამ ეტაპზე თბილისის საერთაშორისო აეროპორტში შენდება დიდი საჰაერო ხომალდების ანგარი. აქედან გამომდინარე ვფიქრობთ, რომ აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს მათი ბიზნესის განვითარებას. როგორც იცით, საერთაშორისო მიმოსვლა განთავისუფლებულია დღგ-სგან. ბევრ ქვეყანაში ტექნიკური მომსახურებაც ასევე განთავისუფლებულია დღგ-სგან. აქედან გამომდინარე, აღნიშნული ინიციატივა ხელს შეუწყობს საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების ცენტრის კონკურენტუნარიანობას საერთაშორისო ბაზარზე. იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს საკმაოდ კარგი სპეციალისტები და ასევე გრძელდება ახალი სპეციალისტების მომზადება. საქართველო ბევრად უფრო ახლოა ევროპის ქალაქებთან. ევროპაში ტექნიკური მომსახურება საკმაოდ მაღალხარჯიანია. აზიაში შედარებით დაბალია ხარჯი, თუმცა იქ ჩაფრენა ბევრად უფრო რთულია. ვფიქრობთ, რომ საქართველოში არსებული ბიზნესკლიმატი, ისევე როგორც ეს ახალი ინიციატივა, ხელს შეუწყობს ჩვენი ქვეყნის ამ მიმართულებით განვითარებას“,** — განმარტავს ალექსიძე.

# საქართველოს თავდაცვის სამინისტროში „ოჯახების მზადყოფნის პროგრამა“ იწყება

**„ოჯახების მზადყოფნის პროგრამის“ დოკუმენტზე ხელი თავდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ლელა ჩიქოვანმა და აშშ-ის ჯორჯიის შტატის ეროვნული გვარდიის სამხედრო მოსამსახურეების ოჯახების მხარდამჭერი სამსახურის ხელმძღვანელმა, ვიცე-პოლკოვნიკმა მაიკლ ლიპერმა მოაწერეს.**

„ოჯახების მზადყოფნის პროგრამა“ მიზნად სამხედრო მოსამსახურეებსა და მათი ოჯახის წევრებზე ზრუნვას, მოტივაციის გაზრდას, ასევე კრიზისულ სიტუაციებში სამშვიდობო მისიაში მყოფი სამხედროების ოჯახის წევრების მხარდაჭერასა და მათი განვითარების ხელშეწყობას ითვალისწინებს. პროგრამის ფარგლებში, სამშვიდობო მისიაში მყოფი სამხედრო მოსამსახურეების ოჯახის წევრებისათვის საინფორმაციო, შემეცნებითი, კულტურული, სპორტული და სხვა ღონისძიების გამართვა იგეგმება.



# ცვლილებები პროკურატურაში

**საქართველოს მთავარმა პროკურორმა ირაკლი შოთაძემ საქართველოს პროკურატურაში შიდა საკადრო ცვლილებები განახორციელა. ქალაქ თბილისის პროკურორად მალხაზ კაპანაძე დაინიშნა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორად — ნათია სონღულაშვილი, დასავლეთ საქართველოს პროკურორად — შოთა ტყეშელაშვილი, კახეთის პროკურორად — ლევან პაქსაშვილი,შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის პროკურორად — ავთანდილ კოჭლამაზაშვილი, სამცხე — ჯავახეთის პროკურორად — შოთა რიჟამაძე.**



რაც შეეხება ქალაქ თბილისის ყოფილ პროკურორს და მის მოადგილეს, მიხეილ შაყულაშვილი და გიორგი გაბოძე მუშაობას საქართველოს მთავარ პროკურატურაში გააგრძელებენ.

# „აჭარა ტექსტილი“ პროდუქციას მიაწოდებს ისეთ მსხვილ ბრენდებს, როგორებიცაა NEW BALANCE და UNDER ARMOUR

**სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ პროგრამის მხარდაჭერით, ფოთში „აჭარა ტექსტილის“ ახალი საწარმო გაიხსნა.**

საწარმო გუშინ საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა გახსნა. ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ „აჭარა ტექსტილის“ დამფუძნებელი ჯემალ ბილგინ გულლუ ოღლუ და Nike Emas რეგიონალური დირექტორი კანერ სოიტასი.

ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, „აჭარა ტექსტილის“ ახალი საწარმო პროდუქციას მიაწოდებს ისეთ მსხვილ ბრენდებს, როგორებიცაა New Balance lf Under Armour. ახალ საწარმოში 3000 ადამიანი დასაქმდება. „აჭარა ტექსტილი“ 100%-ით ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიაა, რომელიც უკვე თანამშრომლობს ისეთ საერთაშორისო კომპანიებთან, როგორებიცაა: Nike, Adidas, Puma, Lotto, Erima და საქართველოში შეკერილი პროდუქციის რეალიზაციას საერთაშორისო ბაზარზე ახერხებს. კომპანია წლიურად 10 000 000 ერთეულ პროდუქტს აწარმოებს, ხოლო ახალი მაღალი ხარისხის მანქანა-დანადგარების ამოქმედებით წარმოების მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება. კომპანიას ბათუმსა და ქობულეთში უკვე აქვს ორი სამკერვალო ქარხანა, სადაც 2500 ადამიანია დასაქმებული.

◎ „საერთაშორისო გამჭვირვალობა“

# საქართველოს პოზიცია კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით გაუარესებულია

**2017 წელს საქართველოს პოზიცია კორუფციის აღქმის ინდექსის მიხედვით გაუარესებულია — ყოველწლიურ ანგარიშს ამის შესახებ „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ აქვეყნებს.**

**„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ბერლინის სამდივნოს მიერ გამოქვეყნებულ „კორუფციის აღქმის ინდექსის“ 2017 წლის კვლევაში საქართველოს 56 ქულა აქვს და 46-ე ადგილზეა 180 ქვეყანას შორის. საქართველოს მაჩვენებელი საუკეთესოა აღმოსავლეთ ევროპის (ევროკავშირის წევრი ქვეყნების გამოკლებით) და ცენტრალური აზიის რეგიონში.**

**რეიტინგში 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა — ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს.**

წლევანდელი შედეგების მიხედვით, საქართველოს პოზიცია რეიტინგში გაუარესდა წინა წელთან შედარებით, თუმცა (კვლევის მეთოდოლოგიის თანახმად) 1-ქულიანი კლება უმნიშვნელოდ მიიჩნევა. ბოლო წლების მანძილზე კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს პოზიციის უცვლელობა (2017 წელს კი გაუარესება) მიანიშნებს, რომ საქართველოს მიერ მიღწეული გარკვეული პროგრესის შემდეგ, ხელისუფლებამ ანტიკორუფციული ძალისხმევა ახალ ეტაპზე უნდა აიყვანოს.

საქართველოში ანტიკორუფციული პოლიტიკის მხრივ არსებული გამოწვევები ძირითადად მმართველობის მაღალ დონეზე ანგარიშვალდებულების ნაკლებობას უკავშირდება, რაც, თავის მხრივ, ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთკონტროლისა და გაწონასწორების ეფექტური სისტემის არარსებობის შედეგია. ამ მხრივ აღსანიშნავია პარლამენტის მიერ აღმასრულებელი ხელისუფლების ქმედით კონტროლთან დაკავშირებული გამოწვევები, სასამართლო ხელისუფლების არაეფექტურობა და სამართალდამცავი/საგამოძიებო ორგანოების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული პრობლემები.

ამავდროულად, მოქმედ თუ ყოფილ თანამდებობის პირებთან დაკავშირებულ შესაძლო კორუფციულ შემთხვევებზე უკანასკნელ წლებში პასუხგაუცემელი კითხვები მაღალ დონეზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისთვის ხელისუფლების მზადყოფნას ეჭვქვეშ აყენებს.

აღსანიშნავია, ასევე, დამოუკიდებელი სააგენტოების (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, შესყიდვების სააგენტო და სხვა) როლის გაძლიერების საჭიროება. მიუხედავად იმისა, რომ გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის მიმართულებით, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სამსახურის ბიუროს მსგავსად, სხვა ისეთი სამსახურების ეფექტურობაც გაიზარდოს, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვისა და სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგს ახორციელებენ.

ბოლო პერიოდის განმავლობაში ნათლად გამოიკვეთა სასამართლო სისტემის წინაშე მდგარი გამოწვევები. გაუმართავი კანონმდებლობა, არაჯეროვანი გავლენა სისტემის შიგნიდან თუ გარედან, სისტემის ჩაკეტილობა, ანგარიშვალდებულების არარსებობა და არაეფექტური მენეჯმენტი სასამართლოს სისტემაში პირდაპირ საფრთხეებს წარმოქმნის მოსამართლეთა დამოუკიდებლობის კუთხით და მნიშვნელოვნად ზრდის კორუფციის რისკებს.

**არსებულ გამოწვევებთან გასამკლავებლად და კორუფციასთან ბრძოლაში პროგრესის გასაგრძელებლად აუცილებლად მიგვაჩნია:**

**სახელმწიფო ინსტიტუტებზე არაფორმალური გავლენის აღმოფხვრა, საჯარო და კერძო სექტორების ეფექტური გამიჯვნა;**

**აღმასრულებელ ხელისუფლებაზე საქართველოს პარლამენტის კონტროლის გაძლიერება;**

**სასამართლო ხელისუფლებისა და სამართალდამცავი უწყებების დამოუკიდებლობისა და პოლიტიკური მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;**

**დამოუკიდებელი ანტიკორუფციული უწყების შექმნა, რომელიც კორუფციის ყველა ფორმის (მათ შორის, მაღალი თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი კორუფციული დანაშაულის) პრევენციისა და გამოძიებისთვის აუცილებელი უფლებამოსილებებითა და რესურსებით იქნება აღჭურვილი;**

**დამოუკიდებელი, პროფესიონალური და პოლიტიკური გავლენისგან თავისუფალი საჯარო სამსახურის ჩამოყალიბება;**

**თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის საფუძველზე გამოვლენილ დარღვევებზე სათანადო რეაგირება;**

**საზედამხედველო და მარეგულირებელი ინსტიტუტების (მაგ. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს, კონკურენციის სააგენტოს, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის) ინსტიტუციური დამოუკიდებლობის გაძლიერება და მათ საქმიანობაზე არაჯეროვანი პოლიტიკური თუ კომერციული გავლენის გამორიცხვა. ასევე, დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუტების რეკომენდაციების შესრულებაზე საპარლამენტო კონტროლის გაძლიერება;**

**ანტიკორუფციულ ძალისხმევაში კერძო სექტორის ეფექტური ჩართვა.**

კორუფციის აღქმის ინდექსი, რომელიც წელს 25-ედ ქვეყნდება, ემყარება ექსპერტების მოსაზრებებს საჯარო სექტორში კორუფციის დონის შესახებ. 2012 წლიდან კვლევა ახალი მეთოდოლოგიით ტარდება, რომელიც სხვადასხვა წლის შედეგების შედარების შესაძლებლობას იძლევა.

2017 წლის ინდექსის თანახმად, კორუფციის აღქმის დონე ყველაზე დაბალია ახალ ზელანდიასა და დანიაში (89 და 88 ქულა ქულა), ხოლო ყველაზე მაღალი — სომალიში (9 ქულა), სამხრეთ სუდანსა (12 ქულა) და სირიაში (14 ქულა).

**2017 წლის ინდექსში საქართველოსთვის მინიჭებული ქულა შემდეგ კვლევებს ემყარება: ბერტელსმანის ფონდის ტრანსფორმაციის ინდექსი, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მენეჯერთა აზრის კვლევა, მსოფლიო სამართლის პროექტის კანონის უზენაესობის ინდექსი, „გლობალ ინსაითის“ ქვეყნების რისკის რეიტინგი, „ფრიდომ ჰაუსის“ ტრანზიციული ქვეყნების კვლევა, პროექტი „დემოკრატიის ვარიაციები“.**

№ 41 მთავრობის ორგანო · ყოველდღიური გაზეთი · წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 50 მან. ოთხშაბათი, თებერვლის 23 1921 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 500 მან., ცალკე ნომერი ყველგან 50 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 30 მან. 4-ზე გ. 20 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 1000 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 310 მ. სასმართლ. უწყ. განცხადებანი 600 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82.

რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი აუწყებს საზოგადოებას, რომ ვერაგ მტერთან ბრძოლის პირველი მსხვერპლი ქალის, თავგანწირულად და გმირულად თავის მოვალეობის აღსრულების დროს მოკლულის, მოწყალების დის, უნივერსიტეტის სტუდენტის

## მარო მაყაშვილის

დაკრძალვა მოხდება სამხედრო ტაძრის გალავანში ოთხშაბათს, 23 ამა თებერვალს, დღის 12 ს.

## ფრონტზე

(გენერალური შტაბის ცნობა.)

(თბილისი, თებერვლის 22.)

თბილისის პოზიციებზე დამარცხებულ მტრის მდევარმა, ჩვენი ჯარის მოწინავე რაზმმა გუშინ საღამოს აიღო სოფელი კუმისი და წალასკური. სოფელ კუმისთან ღამის ბრძოლაში ჩვენ ხელთ ვიგდეთ მტრის 8 ტყვიისმფრქვეველი 3 ოფიცერი და 53 წითელ არმიელი. სოფ. წალასკურთან მტერს წავართვით სასროლ მასალათა ყუთი ყუმბარებით და ვაზნებით.

გზა და გზა ჩვენი ჯარი ხედავს აშკარა ნიშნებს მტრის სრული არევ დარევისა და დიდი ზარალისას.

კახეთში ადგილობრივ გლეხებმა დაიწყეს სასტიკი პარტიზანული მოქმედება ბოლშევიკების ცხენოსანი რაზმის წინააღმდეგ.

მტერმა დარიალშიაც სცადა ჩვენს მოწინავე პოზიციებთან მოახლოვება, მაგრამ უკუგდებულ იქმნა.

გაგრის მიმართულებით მტრის შემოტევა შეჩერებულია.

## საყოველთაო მობილიზაცია

თავდაცვის საბჭოს დადგენილებით თფილისის გამაგრებულ რაიონში (თფილისში, მცხეთაში, დიღომში, ავჭალაში დიდ და პატარა ლილოში, ნორიოში, მარტყოფში, ახალსოფელში და ყველა სხვა ამავე რაიონის პატარა სოფლებში) ცხადდება მობილიზაცია 40 წლ.-მდე ქართველი მოქალაქეებისა. პირველი დღე გამოცხადებისა, 21 თებერვალი, გრძელდება 22 თებერვლის საღამოს 6 საათამდე.

ვინც ამ დროს განმავლობაში არ გამოცხადდება იქნება გასამართლებული, როგორც დეზერტირი.

თფილისის ქალაქის თვითმართველობას და სამაზრო ერობას ევალება სასწრაფოთ განახორციელოს ეს. სოფ. მცხეთაშიაც მობილიზაციას თფილისის სამაზრო ერობამ გაუწიოს ხელმძღვანელობა.

მოქალაქენო! შეასრულეთ თქვენი მოვალეობა.

თფილისელები გამოცხადდნენ სადგურის პირდაპირ ქალაქის სამობილიზაციო პუნქტზე, სოფლელები კი სამაზრო ერობაში რუსთაველის პროსპექტზე.

დამარცხებული მტერი სამუდამოდ უნდა განიდევნოს ჩვენგან.

თფილისი, 21 თებერვალი 1921 წ.

აღმოსავ. გენერალ-გუბ. ბ. ჩხიკვიშვილი.

## ჩვენთან ერთად

**ერევანი.** სამშობლოს დამხსნელ კომიტეტის თავმჯდომარე ვრაციანს.

მთავრობის სახელით მოგილოცავთ თქვენი სამშობლოს უცხოელთა ბატონობისაგან განთავისუფლებას! ჩვენ გვახარებს ცნობა, რომ სომხის ხალხი არ იღებდა მონაწილეობას ბალშევიკების მიერ ჩვენს წინააღმდეგ დაწყებულ ომში და რომ თქვენ გადაგიწყვეტიათ თქვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის დაცვა.

საქართველოს მთავრობა წინადადებას გაძლევს თქვენ დაუყოვნებლივ გაილაშქროთ ჩვენთან ერთად და ბალშევიკებს „ზურგში" დაჰკრათ. ამას მოითხოვს ორივე ერის სასიცოცხლო ინტერესები. მთელი ქართველი ხალხი ადგა თავის უფლებათა დასაცავად. ბალშევიკური ჯარების იერიშები გუშინ და ამაღამით მოგერებულ იქნა მათთვის დიდი ზარალით.

საფრანგეთი საბოლოვოდ გადმოვიდა ჩვენს მხარეზე და გუშინ მისმა ესკადრამ შავ ზღვაზე სროლა დაუწყო ბალშევიკების ჯარებს, რომელნიც ცდილობდნენ მეხადირის გამოსავლის დაკავებას.

მუსულმანობა ერთავად ბალშევიკებისადმი მტრულ განწყობილებაშია და ამიერ-კავკასიის ბევრ ადგილებში ააფრიალა აჯანყების დროშა.

იწყება კავკასიის ერთა საერთო გამოსვლა მოსკოვის უღლისაგან თავის დასაღწევად და სოლიდარულად თავისი საქმეების მოსაწყობათ. გთხოვთ მიიღოთ საჩქარო ზომები სომეხთა სოფლების გონს მოსაყვანად, რომელნიც ბალშევიკებმა შეცდომაში შეიყვანეს. თქვენი მისია ტფილისში აღდგენილია. თქვენს რადიო-გრამაში მოხსენებული პირები დღეს მოვლენ რადიოსთან თქვენთან მოსალაპარაკებლათ. გვაცნობეთ ყოველ დღე საქმეთა მიმდინარეობის შესახებ.

საგარეო საქმეთა მინისტრის მაგიერ

**საბახტარაშვილი.**

21 თებერვალი 1921 წ.

№ 1768.

ტფილისი.

## ერის მოღალატენი

სარწმუნო წყაროებიდან გავიგეთ, რომ 16 თებერვალს შულავერში შესდგა ბალშევიკური რევოლიუციონური კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა თავისი თავი საქართველოს მთავრობათ და მოუძღვის საბჭოთა რუსეთის ჯარს საქართველოს მშრომელთა წინააღმდეგ. ამ კომიტეტში შედიან საქართველოს მშრომელთა ცნობილი მოღალატენი: ფილიპე მახარაძე, მამია ორახელაშვილი, ბუდუ მდივანი, შალვა ელიავა, მიხეილ ოკუჯავა, ლადო დუმბაძე, ალექსანდრე გეგეჭკორი და ბესო კვირკველია. ამ მოღალატეთა სიას ამშვენებენ ჰაიკ ომარი და ამაიკ ნაზარეტიანი.

როგორც სჩანს „იდეურ" ბალშევიკებს თურმე ეჭვიც აღარ ეპარებოდათ, რომ მათი დამშეული „წითლები" ტფილისს აიღებდენ და ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებდენ. საქართველოს მშრომელ ხალხის მოღალატეებს სამინისტროს პორთფელებიც განაწილებული ჰქონიათ თურმე.

ცნობილ ფილიპე მახარაძეს ნოე ჟორდანიობა უნდოდა...

მაგრამ მოსტყუვდნენ მოღალატენი; საქართველოს დემოკრატიამ კარგად იცის ვის უნდა ჩააბაროს თავისი ბედი. ქართველ ერს ნათლად აქვს წარმოდგენილი თუ რა მოელის მას მახარაძე-მდივან-ორახელაშვილების ხელში, მიტომ არის, რომ ის დღეს ლომივით იბრძვის და მტერს სასტიკად ამარცხებს.

„საქართველოს ახალი მთავრობას" შულავერიდან სასახლე ელანდებოდათ, მაგრამ სულ მალე დაიმხობა იქაც, ამ საქართველოს დემოკრატიის მოღალატეთა, თავისი ერის გამყიდველთა ტახტი.

ძრწოდეთ და გეშინოდეთ ურჯულონო ქართველი ერის საუკეთესო შვილთა სისხლში ხელებ გასვრილნო!

დადგა თქვენი აღსასრულის დღე.

დე, განოყიერდეს საქართველოს მიწა-წყალი ერის მოღალატეთა ლეშებით, მაგრამ თქვენ ღირსნი არა ხართ საქართველოს მიწისა...

თქვენ დიდი ხანია რაც მოკვდით სამშობლოსათვის და დღეს მხოლოდ საქართველოს დემოკრატია უკანასკნელათ „გიგალობთ" სულთათანას.

## დედა-ქალაქი გადარჩა

დედა-ქალაქის მზიან კაბადონზე გაიმარჯვა ქართველ ერის ურღვევ სულის სიძლიერემ. მტრის ურდოები სასტიკად დამარცხდა ტფილისის კედლებთან. გუშინ ზარბაზნის კვამლ-ცეცხლში გახვეული სამშობლოს გული დედა ქალაქი, ეს მთავარი არტერია, უკვდავ საქართველოს სხეულისა—ტფილისი ტიტანურ ძალ-ღონით აღეწილი დღეს დაწყნარებულია, მზიანია.

მაგრამ ის არ ჩერდება; ღელავს, გიგანტურ ნაბიჯების დგმას კვლავ მედგრად განაგრძობს და იკრებს გარშემო თვის ყველა ნაწილებს ყველა გზით და ყველა მხრივ, მუხანათ მტერთა, ურდოთა საბოლოო შესამუსრად.

მას თავს დასტრიალებენ ისტორიულ გმირთა აჩრდილები, რომელთა „ბუკი და ნაღარა გმირებს უყივიან" სამშობლოს დასახსნელად და ეს ხმა კი თავზარდამცემია მტრისათვის, რომელიც დღეს დამარცხებული შორდება ტფილისს. გადარჩა დედა-ქალაქი.

## „წითელი" ტყვეები

გუშინ კიდევ ჩამოიყვანეს ფრონტიდან დიდძალი „წითელი" ტყვეები; როგორც პირველ დღეებში ჩამოყვანილი ტყვეები, ესენიც მეტად ცუდ შთაბეჭდილებას ახდენდენ. ნახევრად ტიტვლები დამშეულები, ძალზე მოქანცულნი და ძალზე სასო მიხდილნი; მალაზიებში მსუნაგ ძაღლებივით იყურებოდენ; მათ დიდათ გაუკვირდათ, როცა დაინახეს მალაზიებში პური, ხორცეულობა და სხვა სურსათი.

## ყუბანი და თერგი მხედრდება.

ყუბანისა და თერგის განმანთავისუფლებელმა კომიტეტმა მოწოდებით მიმართა თერგისა და ყუბანის ყაზახობას. მოწოდებაში სხვათა-შორის სწერია:

„ძმებო ყაზახებო! თქვენ აგამხედრეს თავისუფალი საქართველოს წინააღმდეგ და წითელი დროშით ხელში თქვენ აწარმოებთ ბრძოლას საქართველოსთან. მაგრამ გახსოვდეთ, ძმებო, რომ საქართველოს ჯარი და სახალხო გვარდია ძლიერია თავისი სიმართლით—საჭირო პასუხს გასცემს თქვენს თავდასხმას. თქვენს წინააღმდეგ ირაზმება მთელი გლეხობა და მუშათა კლასი საქართველოსი. მათ უკვე მიატოვეს მშვიდობიანი შრომა და თოფით ხელში მიისწრაფიან ფრონტისაკენ, რათა იხსნან სამშობლო ბალშევიკურ თავდამსხმელ-მოძალადეებისაგან. სამი წელიწადია ქართველი ხალხი თითონ აწყობს თავის ქვეყნის საქმეებს, სცემს კანონებს მის მიერ კანონიერად არჩეული დამფუძნებელი კრების საშუალებით. აი სად არის ჭეშმარიტად მუშათა და გლეხთა მთავრობა შექმნილი მთელი ერის ნებისყოფით. სვენ ვიცხოვრეთ საქართველოს სოფლებშიაც და ქალაქებშიაც, მთებშიაც და ბარში ვიცხოვრეთ ზღვის პირებში და ვიცით თუ როგორ უყვარს ქართველ ხალხს თავისი სამშობლო, როგორ ენდობა იგი მის მიერ არჩეულ მთავრობას. მთელი ქართველი ერი აღსდგა, როგორც ერთი კაცი და მიისწრაფის ფრონტისკენ თავისი თავისუფლების დასაცავად. თქვენ კი, ძმებო ყაზახებო, მიდიხართ კომუნისტ კომისრების ბრძანებით, რომ დაახრჩოთ საქართველო და მოსპოთ მისი თავისუფლება. ყუბანი და თერგი მწარეთ გმინავს კომუნისტურ უღელ ქვეშ და ელის ბედნიერ ჟამს თავისი განთავისუფლებისას. უკეთუ თქვენ აქ ერთად ერთ თავისუფალ კუნჭულშიაც ჩაახრჩობთ ჭეშმარიტ ხალხურ მართველობას, თქვენს ბორბაროსულ გამარჯვებას წყევა კრულვით მოიხსენიებს მთელი ყუბანი და თერგი. დროა ძმებო თქვენს საკუთარ თავზე იფიქროთ და ბრძოლა ყუბანისა და თერგის თავისუფლებისათვის გააჩაღოთ. მიატოვეთ სისხლიანი წითელი არმია ჯალათ კომუნისტებისა. გაეშურეთ, რათა დაიცვათ თქვენი საკუთარი ქოხები იმავ კომუნისტებისაგან. მოწოდება თავდება შემდეგი სიტყვებით „შემოკრბით ყაზახთა ლაშქარნო რათა ერთის ძალით დავიცვათ ჩვენი მიწა-წყალი და ყაზახთა თავისუფლება".

## თავდაცვის რაზმი

გუშინ სამხედრო ტაძრის გალავანში დემოკრატიული პარტიის მიერ შემდგარი რაზმი პოლკ. დ. ვაჩნაძის მეთაურობით დაათვალიერა ტფ. გენ.-გუბერნატორმა ბ. ჩხიკვიშვილმა და გაუთვალისწინა რაზმს მომენტის სიდიადე. მოუწოდა ერთგულად აესრულებიოს რაზმს თავისი მოვალეობა სამშობლოს წინაშე, ხოლო რაზმის მომწყობთა კომიტეტის პრეზიდიუმს მადლობა უძღვნა თვის დაუცხრომელ და ნაყოფიერ მუშაობაში.

—

ტფ. მილიციის უფროსთან შემდგარ რაზმში 500 სულია ჩაწერილი, მათ შორის 150 შევარდენი, რაზმი მთელ ქალაქში საყარაულო სამსახურს ეწევა.

## მოღალატეთა გასამართლება

სამხედრო საგანგებო სასამართლომ 22 თებერვალს გაარჩია საქმე გვარდიელების 1) გრიგოლ გოგბერაშვილის, 2) იასონ ჩხიკვაძის, 3) მიხეილ ბაქრაძის, 4) გრიგოლ კუჭიაშვილის, 5) ტარიელ აბრამიშვილის, 6) მაკარი სვედელაძის, 7) სილიბისტრო ულრულიძის, 8) დომენტი წივწივაძისა, 9) და მე-10 მათე ზაურშაძის შესახებ, რომელთაც ბრალი ედებათ მასში, რომ როდესაც ხსენებულნი იყვნენ სამხედრო მოქმედების ფარგალში რესპუბლიკის ჯარში, გადავიდენ მტრის ბანაკში, უჩვენეს ადგილ-მდებარეობა რესპუბლიკის სამხედრო ნაწილებისა და შემდეგ დასთანხმდენ რა მტრის წინადადებას, გაეწიათ ჩვენ ჯარში აგიტაცია მტრის სასარგებლოდ დაბრუნდენ უკან. ბრალდება გათვალისწინებულია 243 მ. ს. დ. კ. 22 წ.

## შეიარაღებულთა რეგისტრაცია.

თანახმად რესპუბლიკის თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, ყველა მოქალაქე, რომელიც ატარებს ან ინახავს იარაღს ტფილისის გამაგრებულ რაიონში, ვალდებულია ორმოცდა რვა საათის განმავლობაში გამოცხადდეს სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში რეგისტრაციისათვის.

ვინც არ შეასრულებს ამ დადგენილებას მიეცემა სამხედრო სასამართლოში.

## ძმათა საფლავი.

თავისუფალ სამშობლოსთვის ბრძოლის ველზე დაღუპულ გმირთა დაკრძალვა მოხდება 23 თებერვალს დილის 12 საათზე სამხედრო ტაძრის გალავანში ძმურ საფლავში. ტფილისის კომენდანტი სთხოვს ყველა სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებათა მოსამსახურეთ სცენ პატივი დასწრებით დედა-ქალაქის დაცვის მსხვერპლებს.

გამოსვენება მიცვალებულთა მიხეილის საავადმყოფოდან დილის 10 საათზედ მიხეილის პროსპექტით, კიროჩნი ქუჩა ვერის აღმართით რუსთაველის პროსპექტით სამხედრო ტაძარში.

## † მარო მაყაშვილი

ულმობელმა მტერმა ბევრი უმანკო მსხვერპლი შეიწირა.

გასროლილმა ტყვიამ არ დაინდო მარო მაყაშვილიც და ქართველ ჯარის კაცთ სათნოების დათ მოვლინებულმა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე ანაცვალა.

მამულიშვილური გრძნობით აღენთო მარო მაყაშვილი და თავისუფალ სამშობლოს დასაცავად ჩადგა დამცველთა რიგში.

ქართველი ქალი ამაყია თავისი ბუნებით.

ეს სიამაყე დაამტკიცა მარო მაყაშვილმა.

სამშობლოს სიყვარულში, მისთვის თავ განწირვაში.

უდროოდ დააქნო თავისი ლამაზი სიცოცხლე.

მაგრამ მისი სიკვდილიც ხომ ლამაზი იყო. სწორედ ისეთი როგორიც შეშფერის რაინდულ ქვეყანას.

მარო მაყაშვილიც თავის სამშობლოს ღირსეული შვილი იყო.

მაყაშვილების პატრიოტულ ოჯახს ერთი წევრი კიდევ გამოაკლდათ.

ძვირფასი და დაუვიწყარი იქნება მარო მაყაშვილი ყველასთვის.

სამაგალითო—ქართველ ქალებისთვის.

დღეს მიაბარებენ მიწას ქართველ გმირ ქალს და ცრემლებთან ერთად ყველა ეტყვის მას:

სამარადისო ხსოვნა, შენ, სამშობლოს წმინდა სამსხვერპლოზე რომ მიიტანე შენი ახალგაზრდა სიცოცხლე.

დაე შენს საფლავზე გაიშალოსია და ვარდი, როგორც სიმბოლო სიმშვენიერის და ჰარმონიულ უკვდავების.

ვ. ბ.

## ფეხზე დამდგარი ქართლი.

გუშინ ტფილისში ჩამოვიდა პირველსავე ძახილზე ქართლის მოხალისეთა მრავალრიცხოვანი რაზმი პოლკ. არჩილ ფურცელაძის ხელმძღვანელობით. რაზმის შემადგენლობა და სიმამაცე ნეტარების ცრემლს აფრქვევინებს ყველა მამულიშვილს და სიამის შუქსა ჰფენს.

პოლკ. ფურცელაძეს ესაუბრა ჩვენი თანამშრომელი რომელმაც გადასცა შემდეგი:

პირველსავე ძახილზედ მთელი ქართლი ფეხზე დამდგარა და მამულის სამსხვერპლოზე არ იშურებს არც ქონებასა და არც სიცოცხლეს.

ფრონტის დამხმარე კომიტეტის ინიციატორობით შეუკრებია ერთ დღეს ქ. გორში 15 მილიონი მანეთი ხოლო ცხინვალში ათი მილიონი.

მცხოვრებლებს თავის ფეხით მოუტანიათ და დამზადებულია წამოსაღებათ 7 ვაგონი პური.

დიდ მუშაობას იჩენს ადგილობრივი ქალთა კომიტეტი, რომელიც ტანთსაცმელის და სამოსის შეკრება დამზადებაშია. მალე გაეგზავნება ფრონტს ორი ათასი ტომარა საჩუქარი.

მობილიზაცია მთელ მაზრაში ბრწყინვალედ მიმდინარეობს. სდგება ახალ ახალი რაზმები მოხალისეთა, რომელშიაც ერთ წუთს ეწერება ადგილობრივი ძალები.

გაიხსნა საავადმყოფოები ქ. გორში—20 საწოლით, ახალქალაქში—10 საწოლით და ქარელში—10 საწოლით.

საერთო ენტუზიაზმი ძლიერია.

## არასოდეს!

ქართველი ერისათვის ასეთი თავგანწირული ბრძოლა პირველი არ არის. მისი დიდი ისტორია ომისა, სისხლით, მაგრამ გმირული სულის-კვეთებით, შეუდრეკელი ნებისყობით და ძლიერი მკლავით ხასიათდებოდა მუდამ არა ერთხელ მოგვიქუხა

...„საქართველოს ადგა ბუნდი,
მონოვრულად გვესეოდა
ყოველის მხრით მტრისა გუნდი.

მოგვაწვენ და მოგვაზვირთდენ
ერთიანად ჩასანთქელად...
რაც რომ მაშინ ჭირი ვნახეთ,
ძნელი არის აწ სათქმელად.

ეს პატარა საქართველო
ჯარასავით დატრიალდა,
გადიწერა რა პირჯვარი
გაფოლადდა და გასალდა...

მოხუცი თუ ახალგაზრდა,
ერის კაცი თუ სამღვდელო,
ყველა ერთმხრივ მიიწევდა
ერთი ქონდა ყველას ლელო.

სადღა იყო განსხვავება
რის ბატონი? ან ვისი ყმა?
ყველა ერთად შეკავშირდა
ერთი ჰქონდათ მათ გულის თქმა.

რომ გულწრფელად მოეხადათ
ქართვლის შვილებს მათი ვალი,
და სიკვდილით გამოეხსნათ
ჩვენი ქვეყნის მომავალი!

მამაპაპის განთქმულ ფარხმალს
უმატებდა შვილი ფასსა,
იმითი რომ ლომ-კაცურად
შეებმოდა ერთი ასსა.

„ჰკა მაგას“ ხმა ყოველის მხრით
მოისმოდა მტრის საზარი
და იმ გრგვინვას ბანს აძლევდა
საორკეცოდ მთა და ბარი.

(აკაკის თორნიკედან)

დიახ, საქართველო მრავალ ჭირნახულია; არა ერთსა და ორ მტერს სურდა მისთვის სასიკვდილო მახვილი ჩაეკრა, მაგრამ მასში ძლიერი ეროვნული სული მაინც ვერ ჩააქვრეს მაშინაც კი, როცა საქართველო უფრო სუსტი იყო. დღევანდელი საქართველო ხომ უფრო ძლიერია, დღეს მისი ეროვნული ორგანიზმი ისე მაგრად არის შესისხლხორცებული, რომ მას ვერავითარი მტრის ტყვია ვერ დაშლის!

არასოდეს!

ს. მ.

## სხვა და სხვა ამბები.

### მთავრობის რწმუნებული კახეთში.

დამფუძნებელი კრების წევრი კონსტანტინე ანდრონიკაშვილი დანიშნულია მთავრობის საგანგებო რწმუნებულათ კახეთში, რომელიც თავის მოვალეობის ასრულებას შეუდგა დღეიდან.

### „წითლების“ დემობილიზაცია

დემობილიზაციის გამო რუსეთის რკინის გზებზე დიდძალი ჯარი გროვდება. რათა ამ გარემოებამ არ გამოიწვიოს სხვა და სხვა ეპიდემიის გავრცელება სავნარკომმა კანიზრახა ზოგიერთ სადგურზე დაარსებულ იქნას საკვები პუნქტები დემობილიზაციით განთავისუფლებულ ჯარისათვის.

### ტეხნიკური საზოგადოებისაგან.

საქართველოს ტეხნიკური საზოგადოება ამით აცნობებს იმ სპეციალისტებს, რომელთაც სურვილი განაცხადეს საზოგადოებებში მუშაობისა, რომ ისინი უნდა გამოცხადდნენ გზათა ოლქის სამმართველოში (სერგიევის ქუჩა № 8 სოლოლაკში).

### შაქარი.

მუშათა მაგიდა აცხადებს, რომ მან მიიღო მომარაგების სამინისტროსაგან თფილისის მუშა-მოსამსახურეთათვის საჭირო შაქარი, რომლის განაწილებას ამ დღეებში შეუდგებიან. შაქარი მიღებულია აგრეთვე რკინის გზის მოსამსახურეთათვისაც.

### მორატორიუმი,

საომარ დროის გამო ფინანსთა მინისტრის განკარგულებით გამოცხადდა ქ. ტფილისში ერთის თვის ვადით სრული მორატორიუმი ფულის პირობებზე (по денежнымъ обязательствамъ).

## მთავარი ფინანსიური კომისია.

დაარსდა ტფილისში შინაგან თვითდამცველ ფონდის მთავარი ფინანსიური კომისია, რომელშიაც შედიან ცენტრო-ბანკის გამგე (თავმჯდომარედ) პ. გოთუა, ამიერ-კავკ. ბანკის გამგე ნ. წვერავა (ხაზინადარი) წევრებად: იტალო-კავკ. ბანკის გამგე აბხაზი, ვაჭართა ბანკის გამგე მილოვი და მეფაბრიკეთა და მექარხნეთა საზოგად-ის თავმჯდომარე ტერ-ხეჩატუროვი, უკვე შეუდგა მუშაობას. ფული უნდა შეტანილ იქნეს შეუფერხებლივ კომისიის მიმდინარე ანგარიშზე ამიერ კავკასიის ბანკში ან ცენტრობანკში, რომელიც ღიაა ყოველ დღე დილის 11—1 ს.

## ბრძოლა სპეკულიაციის წინაღმდეგ.

ფქვილის საქმე ტფილისში და აგრეთვე სავაჭრო საზედამხედველო მეთვალყურეობის ხელმძღვანელობა დაეკისრა ქალაქის ხმოსანს ა. რუხაძეს.

საქონელზე ხელოვნურად ფასების აწევისათვის ზურგის უფროსს პოლკოვნიკ სულაქველიძეს გადაეგზავნა სასურსათო განყოფილებისაგან 25 ოქმი შედგენილი შემდეგ ვაჭრებზე: 1) ბ. გ. ოგანესიანცზე, 2) ი. რ. ინასარიძეზე, 3) ლ. რ. ხოჩავაძეზე, 4) გრ. გ. საგანელიძეზე, 5) ნ. და ლეონ ბურდულაძეზე, 6) ლ. ა. შტეინბერგზე, 7) ქ. ა. იშხანოვზე, 8) ი. ნ. ნიკოგოსოვზე, 9) ა. დ. საბუციანზე, 10) ა. ა. ქესაძეზე, 11) ა. ა. კაზიანზე, 12, ა. ა. კამარიანცზე: 13) ო. გ. ბოიაჯიანცზე, 14) გ. საბოქიანცზე, 15) ს. გ. ამანიშვილზე, 16) ი. ამანიშვილზე, 17) ლ. რ. გრიგორიანცზე, 18) მ. ს. ლებანიძეზე, 19) დ. ხახარიანცზე, 20) ს. დ. ავეტისიანცზე, 21) ა. ნ. ოგაჯანოვზე, 22) ა. ო. ბოიაჯიანცზე, 23) ს. გ. გველესიანზე, 24) ა. ს. ბალდასაროვზე, 25) ა. მ. ლებანიძეზე. აღნიშნული პირები ქალაქის თვითმართველობა სთხოვს მიცემულ იქმნან სამხედრო სასამართლოში.

## ბრძანება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრისა

21 თებერვალი 1921 წ.

ბენზინის და რეზინის სიმცირის გამო, სამხედრო მდგომარეობის შესამსუბუქებლათ ვბრძანებ მიღებულ იქნეს შემდეგი ზომები:

1. რესპუბლიკის ტერიტორიაზედ ბენზინის მარაგი გადადის სახალხო გვარდიისა და სამხედრო უწყების განკარგულებაში.

2. ყველა ავტომობილები და მატოციკლეტები, როგორც სახელმწიფო, აგრეთვე კერძო დაწესებულებების და პირებისა, გადადიან სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების განკარგულებაში.

3. საბარგო ავტომობილებით უნდა სარგებლობდენ სამხედრო საჭიროებისათვის ყოველგვარ ქმაყოფის საზიდავათ.

4. სასანიტარო ავტომობილები ხმარდება მარტო დაჭრილ და ავათ მყოფთ.

5. მსუბუქი ავტომობილებით სარგებლობა შეუძლიანთ: მთავრობის წევრებს, მისი განსაკუთრებულ რწმუნებულებს, გენერალ-გუბერნატორს და ტფილისის მილიციის უფროსებს.

6. სახალხო გვარდიის და სამხედრო უწყების მთავარ შტაბების განკარგულებაში იმყოფება ხუთ-ხუთი სამგზავრო ავტომობილები.

ამა ბრძანების ცხოვრებაში გატარებას თვალყურის დევნა და მისი შეუსრულებლობის მიყვანა ევალება სამხედრო წესების ზონაში გენერალ-გუბერნატორს და გარეშე ამისა ადგილობრივ მილიციის უფროსებს.

**შენიშვნა:** ეს ბრძანება არ ვრცელდება უცხო მისიების ბენზინზე და ავტომობილზე.

შინაგან საქმეთა და გზათა მინისტრი
ნ. რამიშვილი.

## მტერი მარცხდება.

საქართველოს მხედრობა იმარჯვებს, ახალ ძალებს იკრებს. მამულიშვილური გრძნობით და აღტაცებით მიდის წინ და მტრის ძალებს ისე კაფავს, როგორც ტყეში ამოსულ დაბალ ჯაგს.

ქართველ ხალხის თავდაცვის ინსტინქტი უფრო ძლიერი შეიქმნა. სამშობლოს სიყვარული და მისი განთავისუფლება ყველას სათაყვანო მცნებად მიაჩნია.

მთელი საქართველო დაიძრა. მოდის გამალებული ქვეყანა და ლახვარსა სცემს მტერს გულში. სამუდამოდ ასამარებს და ანადგურებს მის შავ გულის ზრახვებს.

მტერს ეგონა საქართველო უომრად დანებდებოდა, არ გაუმკლავდებოდა, მაგრამ სასტიკად მოსტყუვდა. ქართველი ხალხი ლაჩარი არას დროს არა ყოფილა და დღესაც დაამტკიცა თავისი სითამამე, გმირობა.

გმირული სულით გაჟღენთილი საქართველო ერთ წამსაც არ შემკრთალა ურიცხვ დაუნდობელ მტრის წინაშე. ქურდულად მოეპარა ქართველ ხალხს მტერი, გველსავით უნდოდა დაესუნთქა ჩვენი სხეული, მაგრამ ქართველი ადამიანი მეტად მაგარი აგებულობისა გამოდგა.

გამარჯვებული ჩვენი ჯარის ყიჟინი ცას სწვდება. ხალხიც აზვირთდა და თვის დამცველ მამაც გმირებს ზურგი გაუმაგრა. ყველანი ერთი აზრით, ერთი ფიქრით გაიმსჭვალნენ: ყველაფერი ფრონტს და ჩვენც გამარჯვებულები გამოვალთ.

მტერი ჯერ სავსებით არ განადგურებულა. სრულიად უნდა გამოვლიოთ შემოსეული ურდოები კალიასავით რომ შემოგვერტყნენ. ნუღარ ვენდობით მათ ჭრელ, მომხიბლავ სიტყვებს. ცხოვრება და სინამდვილე სულ სხვას გვიჩვენებს.

ერთსულოვნება, ერთად შეკავშირება, გამუდმებით ზრუნვა ფრონტის ხელის შესაწყობად და სამხედრო ძალის გაძლიერება—აი, რა უნდა იყოს დღეს უპირველესად ჩვენი მთავარი მიზანი.

## სადღეისო

**„მტერს გვი ღედა ვაძახოთ**
**ჩვენ კი ვთქვათ დელა-დელაო“.**

რათ იყო სულმნათი მგოსანი ამ ტაეპისა ესე გულთამხილავი!..

რათ გვიანდერძა ფარად და ხიდათ მის გულთმისან ჩანგმა ეს ზეალმტაცი ჰანგები.

საქართველოს ძლევა მოსილობის ფოკუსი რათა შეიკრა ამ ჰანგთა კამარაში და რათ დადაფნა სულმნათმა მკლავი ქართველისა ხმალზე ხელგაკრული!..

იქნებ გვნებოთ საქართველოს შვიდ მნათ დროშის მოფრიალე ერის განცდის ტაძარს წასცხოთ ჩირქი და დასცეთ ერი?

იქნებ გვნებოთ სამარადისო საკურთხევლზე აანთოთ კოცონი სიშმაგისა და ველურობისა?

იქნებ გვნებოთ აქ აღდგენა სოდომ გომორის ნგრევის სანახობათა?

ვერა, ვერ შეესწვრის მტერი ამ დღეს...

და თუ არ სჯერა ჩვენ მას დაუმტკიცებთ ერთხელ და სამუდამოდ...

ჯერ ხომ სწვნია ჩვენი სულის განცდათა სულის კვეთება!

გამარჯვებულ ბრძოლის ველზე კვლავ გაჩვენებთ ახალ სანახაობათ ჩვენი ლომ-აწრივებისას...

**წლეულს, 18 მარტს, საპრეზიდენტო არჩევნებია რუსეთში.**

**ოქტომბერში საპრეზიდენტო არჩევნებია საქართველოში.**

**ამ ორი სახელმწიფო მოვლენის დაწყვილებაში წონითაც და მნიშვნელობითაც ტოლობის ნიშნის დასმა არამც და არამც არ ეგების, მაგრამ მთლად საქილიკოც არაფერია.**

**სხვა ვინმე, რომელსაც წინდაწინ ასე 100 პროცენტით ექნებოდა განაღდებული მოგება, როგორც ამჟამინდელ პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, იმ ვეებერთელა რუსეთში არ მოიძებნება.**

და მაინც ფრთხილობს საიმპერიო-სახელისუფლო გონი და რადიო-ტელევიზიით ყოველ წუთს შეახსენებს ამომრჩეველს, რომ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩი სწორედ ის კაცია, ვინც ბოლო 17-18 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, ქაოსისგან შედღვიბა სახელმწიფო და თუ ვინმეს ძალუძს, დაასრულოს ამ შენადღვებისგან ოდინდელი საბჭოთა რუსეთის (სსრკ-ის) მსგავსი მსოფლიო საფრთხობელას გამოჩეკვა, ისევ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩია.

რუსი პოლიტოლოგების გათვლით, სწორედ 6 წელი, ანუ მომავალი პრეზიდენტის ზეობის ექვსწლეული აშორებს დღევანდელ რუსეთს იმ რუსეთისაგან, რომელიც თავს რიდე დგმული, სიამაყით გულზედ მოსული გაეროს ტრიბუნიდან მსოფლიოს ფეხსაცმელს უბრახუნებდა და ყურებზე ხახვს ვერავინ აჭრიდა.

როგორ ფიქრობთ, რუსი ამომრჩევლები, დღედაღამ ამას რომ ჩასჩიჩინებენ, ან რუსი სამხედროები, რომლებიც იმაზე არიან გაფაციცებულები, მსოფლიოს რომელ კუთხეში მოუწევთ ღვთისგან დანათლული „ინტერნაციონალური ვალის მოხდა“, ქსიუშა სობჩაკს მისცემენ თავიანთ ძვირფას ხმებს, იმისი ლამაზი თვალებისთვის (გამარჯვებისთვის საჭირო რაოდენობაზეა ლაპარაკი, თორემ ისე, ქსიუშაც მიიღებს საქსიუშო ხმებს)?

ისე რომ, ამაოა იმაზე ოცნება, არჩევნები XXI საუკუნის ქერა და ცისფერთვალა შაჰაბასს დემოკრატიულად მოგვაცილებს და რომელიმე ჰუმანისტ ჟირინოვსკის შემოგვაშველებს ამოსასუნთქადო.

ან რა მნიშვნელობა ექნება, რუსეთში ვლადიმირ ვლადიმიროვიჩი დაჯდება პრეზიდენტად თუ, ვთქვათ, ვლადიმირ ვოლფოვიჩი, ისიც წინამორბედივით გააგრძელებს იმპერიის დამსკდარ-დაწყვეტილი საბურავების დაწებებას და დაკერებას.

რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნები რიკოშეტით ვახსენე, რაკილა წლეულს ჩვენს კარზეც დაიჩოქებს აქლემი და ბარემ იმის სათქმელადაც, რომ რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტებს მხოლოდ თანამდებობრივი სახელწოდება აკავშირებთ. რუსეთის პრეზიდენტი კონსტიტუციურად რატომ იმპერატორი არ არის უფლება-მოვალეობებით, განსხვავებით ქართველი „კოლეგისგან“, რომელსაც პრეზიდენტი მხოლოდ ნოსტალგიით მოგვრილი ცრემლის მოსაწურად ჰქვია, როგორც სხვათა შორის, იმის მეუღლეს — პირველი ლედი.

მაგრამ ამ მოჩვენებით-აღმატებული ნიღბის მოსარგებად, რომლის უკანაც ოდენ რამდენიმე საპროტოკოლო მოვალეობაა (ისევ და ისევ კონსტიტუციით), უკვე იკვეთება უშელავათო ბრძოლის კონტურები. ბოლოს და ბოლოს ბევრ საქმიანსა თუ უსაქმურს ავლაბრის სასახლის გუმბათი და სვეტები ჭრის თვალს. პარიზი წირვად ღირსო, ბრძანა ბართლომეს ღამეგამოვლილმა ჰუგენოტმა უფლისწულმა ანრიმ და კათოლიკურ პარიზში საფრანგეთის მეფედ ანრი IV-ედ ეკურთხა.

ავლაბრის სასახლეში თუნდაც ერთი თვით დავანება სწორედაც უღირთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლად, არადა, შეიძლება ამდენი არც აცალონ და ორბელიანის სარეკონსტრუქციო მოედანზე (მაშინ შეიძლება რეკონსტრუქცია დამთავრებულიც იყოს) მოადენინონ ზლართანი.

ჯერჯერობით ჰეროლდებს ბუკების ცემით არ გამოუცხადებიათ ტურნირის მონაწილეთა სახელები, მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ერთ-ერთი პირველი, ვინც ცხენს მოახტება და შუბს შემართავს, თვით ამჟამინდელი პრეზიდენტი ექნება. უდავოა, რომ ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებს, სხვა შანსი აღარ ექნება. ის მიეჩვია ავლაბრის სასახლეს, რომელიც სულ კბილებითა და ფრჩხილებით შეინარჩუნა, რაც მის აღმომჩენ და ადგილზე დამსმელ ბიძინა ივანიშვილთან ურთიერთობის საბოლოოდ გაფუჭებად დაუჯდა. მეორეც, მან უნდა დაამტკიცოს, რომ პლასტელინის კაცი აღარ არის, როგორადაც ქვეყანა აღიქვამს (სრულიად კანონზომიერად). ამიტომ იკბინება ასე მწარედ ამ ბოლო დროს, რათა ხალხს თავი დაამახსოვროს საკუთარი მეობის, საკუთარი აზრის მქონედ.

ამდენად, მისი პრეზიდენტობა შეიძლება პირობითად ორ პერიოდად გავყოთ. პირველი, როცა ის თვითონვე აღიარებდა პლასტელინის კაცი, ანუ მოზელილი თიხის გუნდა ვარო და მეორე, როცა უკვე გამოსაწვავად გამზადებული თიხის კეცი ღუმელში ჩავარდა და კუტად, ანუ აგურად გამოიწვა. მაშინ დაიწყო ელექტორატის დარწმუნება, უკვე აგური ვარო.



# ხელ-თათმანი ქუჩაში გდია

მეტამორფოზა მხოლოდ მან არა, ხალხმაც განიცადა. სანამ უბრალოდ პლასტელინი იყო, მას იტანდნენ როგორც არასერიოზულ, ოღონდ გარდაუვალ ბოროტებას, მაგრამ როგორც კი აგურად იქცა, კრიჭაში ჩაუდგნენ, როგორც ამბოხებულ კაცის კაცს, რაც სრულიად ლოგიკურია. ოღონდ, აქვე ისიც თვალნათლივი გახლდათ, რომ გიორგი მარგველაშვილი ძალიან გაამწარა მისდამი ხელისუფლების მეტისმეტმა კრიტიკულმა დამოკიდებულებამ.



**აკი ნათქვამია, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო. ბოლოს და ბოლოს, მელია და მთელი მელიეთი დარწმუნდა, რომ სრულიად ოპოზიციის მომხრობის გარეშე „ქართულ ოცნებას“ ძვრასაც ვერ უზამს. ამრიგად, ბოგირზე შემდგარ ორ თხასავით უღერებენ ერთმანეთს რქებს ოპოზიცია და „ქართული ოცნება“ საბოლოოდ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ღელეში გადავარდება, შეიძლება — ორივეც. ასეთია ბრძოლის დიალექტიკა!**

მან მარჯვედ დაიჭირა თავისი ადგილი, თავისი ნიშა ამ ერთიანად გამოსაწვავ ღუმლად ქცეულ საქართველოში პერმანენტული ვეტოებითა და ხელისუფლების კრიჭაში დგომით. გაუმართლა კიდეც: ტელეეკრანებიდან არ ჩამოდის და ხელისუფლებასაც თავის ტკივილი გაუჩინა. გადმოხედავს დილა-საღამოს თავისი სასახლიდან ცისფერ ნისლდაკრულ თბილისს და სიამოვნებისგან აჟრჟოლებს. როგორი დასათმობია!

არც ეთმობა, მაგრამ არც ლაშქარი ჩანს, ვინც დროშასავითააფრიალებს და წინ გააქანებს, არც პარტიული ძალა ილანდება, მისთვის რომ ციტადელის შენგრევას შეეცადოს, მხოლოდ ფიქრია ჩიხრაძის და გიორგი აბაშიშვილის იმედად კი მტერი იყოს!

ამრიგად, ჯერ გამოკვეთილად არავინ ამბობს, ვის უჩუჩუნებს პრეზიდენტობის სურვილი. ყველა გაფაციცებული უცდის ეჟვნის შემბმელს, რათა რიგში უმალ დაიკავოს ადგილი.

ჯერჯერობით სურვილი მხოლოდ ერთმა პოლიტიკოსმა გამოთქვა, ისიც გადაკრულად: „ერთადერთი შანსი ამ ქვეყნის გადარჩენის და იმისა, რომ ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს და ამას საფუძველი ჩაეყაროს, იქნება ჩემი ხელისუფლებაში და პრეზიდენტად მოსვლა“. ეს განაცხადა „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ.

მთავარი, ვინც ნასროლ ხელთათმანს აიღებს, ოპოზიციაა. ბოლო წლებში ყველა არჩევნებში დამარცხებული ნაცმოძრაობა ახლა საპრეზიდენტო არჩევნებზე ჩამოდის ფსონს და გრადუსს დუღილამდე სწევს: თუ ხელისუფლება არჩევნებს წააგებს, ცხოვრებასაც წააგებსო, ანუ თუ ოპოზიციამ მოიგო, ჩათვალეთ, რომ ხელისუფლებას ჩაასვენებს და გაასვენებსო.

საწყალი ხელისუფლება! უნდა თუ არა, იძულებულია, მთელი სამეფო სპა შეკრას და ბრძოლაში მიუშვას, თორემ თუ ფეხი დაუცდა, ნიკა მელია და სხვა მელიები და ტურიები უმალ ლურსმანს დააჭედებენ კუბოზე.

ის ხელისუფლება შევარცხვინე, ნიკანორ მელიას დასაჭედებელი რომ გახდება, მაგრამ **იმაზე, თუ როგორ კანდიდატს შეარჩევს „ქართული ოცნება“, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული,** იმის მიუხედავად, რომ საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობა სულაც არ არის ის, რადაც წარმოაჩენენ. **ჰოდა, სახელისუფლებო კანდიდატს არა მარტო პარტიული, არამედ პიროვნული რეიტინგიც მაღალი უნდა ჰქონდეს!**

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ „ევროპულ საქართველოიანად“ და სხვა ნამსხვრევებიანად დღეს საჯილდაო ქ**ვად პრეზიდენტის სავარძლის მოგება ექცა. ამიტომ მიდის იმაზე, რაზეც არასოდეს წასულა. კერძოდ: მთელ ოპოზიციურ სპექტრს სთავაზობს გაერთიანებას და ერთიანი კანდიდატის წამოყენებას. ჩვენ დავთმობთ ჩვენს ამბიციებს, ჩვენს ეგოს და ოლიგარქთან ბრძოლაში უთუოდ გავიმარჯვებთო.** ეს დაახლოებით ისე ჟღერს, ნაპოლეონმა რომ მიმართა თავის ჯარისკაცებს ეგვიპტეში, ამ პირამიდებიდან 40 საუკუნე დაგყურებთ და აბა, თქვენ იცითო. ფრანგებმა მართლაც გაიმარჯვეს, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ მათ ნაპოლეონ ბონაპარტი სარდლობდა, თანაც ენგელსის გამოთვლით, 300 ფრანგი ჯარისკაცი 300 მამლუქს ყოველთვის უგებდა...

ერთიან ოპოზიციას კი დიდი-დიდი ნიკანორ მელიამ ან, უკეთეს შემთხვევაში, ბაჩუკი ქარდავამ შეიძლება უსარდლოს (ისიც იმ შემთხვევაში, თუ ნაციონალ-დემოკრატები ერთიან ნაციონალებთან შეერთებას გადაწყვეტენ). აი, 300 ოცნებელსა და 300 ოთო კახიძეს შორის კი ენგელსის გაანგარიშება რა დასკვნად ჩამოყალიბდება, ძალიან საორჭოფოა.

როცა ნიკანორი ოპოზიციის საყოველთაო გაერთიანებაზე ლაპარაკობს, ცხადლივ გრძნობ, როგორ უფეთქავს, როგორ უკვდება ის ნაზი გული დამცირებისა და შეურაცხყოფისგან, რომ ვიღაც წარაკუა პარტიებთან მოუწევს თავის გაყადრება, ერთიანი საპრეზიდენტო კანდიდატის შერჩევა, მერე მისთვის ბრძოლა და ამ ბრძოლაში დაღუპვა...

მაგრამ რას იზამ, აკი ნათქვამია, გაჭირვებამ დედოფალთან დამაწვინაო. ბოლოს და ბოლოს, მელია და მთელი მელიეთი დარწმუნდა, რომ სრულიად ოპოზიციის მომხრობის გარეშე „ქართულ ოცნებას“ ძვრასაც ვერ უზამს.

ამრიგად, ბოგირზე შემდგარ ორ თხასავით უღერებენ ერთმანეთს რქებს ოპოზიცია და „ქართული ოცნება“ საბოლოოდ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად ღელეში გადავარდება, შეიძლება — ორივეც. ასეთია ბრძოლის დიალექტიკა!

მაგრამ ამოვიდეთ იქიდან, რომ **ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და მისი ოდიოზური ბელადი** (ამ ბელადისადმი „ევროპულ საქართველოში“ არსებული მძაფრი კრიტიკული დამოკიდებულების გათვალისწინებითაც). **საქართველოს მოსახლეობის ნახევარზე მეტისთვის, ვთქვათ ასე — ორი-მესამედისთვის, კატეგორიულად მიუღებელია.** ამდენად, თვით „ბელადის“ მიხეილ სააკაშვილის დანაქადები, მე საქართველოში დავბრუნდები, რადგან მთელი საქართველო მელისო, ბლეფია, თავის დასამშვიდებელი გამონაგონი. მიშისტები თავს იიმედებენ, ხალხი „ქართულ ოცნებას“ ხმას აღარ მისცემსო, მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ: ისინიც კი, ვინც ხმას აღარ მისცემენ „ქართულ ოცნებას“, მხარს უჭერენ „ქართული ოცნების“ პოლიტიკას, პარადოქსია, მაგრამ, ფაქტია!

ერთიც, ოპოზიცია აცხადებს, ქართველი ხალხი გზის არჩევისას ყოველთვის შეცდომას უშვებს და ეს სანანებელი უხდება ხოლმეო. მართლა შეცდომას უშვებს ქართველი ამომრჩეველი? აბა, ვნახოთ, ბოლოს და ბოლოს, სულ ოთხჯერ არ ავირჩიეთ?!

პირველად ზვიად გამსახურდია იყო, ანუ **ხმა მივეცით ეროვნული თავისუფლების იდეას,** მაგრამ დემოკრატიული ოპოზიციის ნიღაბაფარებულმა მტრულმა ძალამ იავარყო იგი; **მეორედ სამოქალაქო ომისგან ქვეყნის დამშვიდება და საერთაშორისო აღიარება ავირჩიეთ,** მაგრამ ედუარდ შევარდნაძეს ორჯერ დაესხნენ თავს, ხოლო მესამედ პარლამენტში შეუვარდნენ და ისე გაუშვეს, უფრო სწორად თვითონ აარიდა თავი სისხლის ღვრას; **მესამედ ხმა მივეცით რეფორმატორული ჯგუფის მოსვლას ქვეყნის სათავეში,** მაგრამ პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ქვეყანა უკანონობაში გადაჩეხა და იგი არჩევნების გზითვე წავიდა ხელისუფლებიდან; **მეოთხედ — სიმშვიდესა და სტაბილურობას მივეცით ხმა**. ოპოზიციის მძვინვარე, მტრული თავდასხმების პირობებში ეს ეტაპი გრძელდება და ახლა საპრეზიდენტო არჩევნებზე გამარჯვებით აპირებენ მისთვის ყელის გამოჭრას. ოღონდ, ნუ დაავიწყდებათ, რომ ქვეყნის სიმშვიდეს ავტომატების კაკანი აღარ არღვევს (ცილდაწამებული ახალგაზრდების ჩაცხრილვისას) და სტაბილურობაც, ასე თუ ისე, შენარჩუნებულია.

არ შეიძლება, არ დაეთანხმო პოლიტოლოგ ვაჟა ბერიძეს, რომელმაც დაახლოებით ასე დაალაგა ჩვენი უკანასკნელ მეოთხედ საუკუნეში განვლილი გზა.

ვინ წაიღებს ხელისუფლების უკმაყოფილოთა ხმებს? სხვათა შორის, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ეს ხმები შეიძლება ეყოს კიდეც გიორგი მარგველაშვილს. ოღონდ, ამ ხმების დიდ ნაწილს ალბათ წაიღებს ახალი სახე, ვინმე დამოუკიდებელი კანდიდატი, ახალი ელისაშვილი ან სულაც, თვითონ „ძველი“ ელისაშვილი, რომელმაც თბილისის მერის არჩევნებში ფანტასტიკური წარმატება მოიპოვა, მირეკმორეკა მთელი ოპოზიცია, მათ შორის ორად გაჭყლეტილი ფუნა — „ერთიანი ნაცმოძრაობა“ და „ევროპული საქართველო“.

ელისაშვილის წარმატება ნიშანდობლივი იყო, ცხადყო, რომ უპარტიოდ მოსული კრიმინალური, ფინანსური თუ პოლიტიკური თვალსაზრისით სტერილური პიროვნება უფრო მისაღებია ელექტორატისთვის, ვიდრე პარტიულ ბრძოლებში ალესილ-გაცვეთილი, ყელში სარწყევად მომდგარი რომელიმე უგულავა, ვაშაძე თუ ხოშტარია. დამოუკიდებელი ელისაშვილი ერთადერთი იყო გასუქინსინებულ მოწინააღმდეგეებში და მოიგო, ყოველ შემთხვევაში — სამომავლო პერსპექტივის თვალსაზრისით. ამიტომ სავარაუდოა, რომ დამოუკიდებელთა რაოდენობამ იმატოს, ვიღაცები უკვე ხედავენ კიდეც მაგალითად, ირაკლი ალასანიას ეულ მწუხარე აჩრდილს, მაგრამ ჩვენს პირობებში „დამოუკიდებელი“ მაშინ იქნება წარმატებული, თუ ერთი ან ორი იქნა, თორემ მრავალი უმალ „გაბონდება“, ერთმანეთს ხმებს წაართმევენ და მოგჭამა ჭირი!

**დაახლოებით ასეთი იქნება ჩვენი მომავალი ოქტომბერი: მცხუნვარე ნერვიული, დანაკარგებიანი!**

**მაგრამ ეგეთები გადაგვიტანია?!**

**მაშ ასე: ხელთათმანი ქუჩაში გდია...**

**ალეკო ასლანიშვილი**

# სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის!..

**მას შემდეგ, რაც ქართველად შევიცან თავი ჩემი და ჩემი ერის განუყოფელ ნაწილად ვიქეცი, ერთი კითხვა მაწუხებდა მუდამ: როგორ გამოვაღწიეთ ოცსაუკუნოვან ისტორიულ ქარტეხილებში შედარებით მცირერიცხოვანმა ხალხმა მაშინ, როდესაც ჩვენზე მრავალრიცხოვანი ერები და ქვეყნები აღიგავენ ისტორიული სარბიელიდან, ან ფიზიკურად გადაშენდნენ, ან ასიმილაციის გზით გაქრა მათი სახსენებელი. ჩემი ზრდა-განვითარებისა თუ გამოცდილების კვალობაზე ამ ჩემთვის ერთობ მნიშვნელოვან კითხვას სხვადასხვა პასუხს ვუძებნიდი, რაც ერთხანს მაკმაყოფილებდა კიდეც. ამ კითხვის ზოგადი პასუხი თავიდანვე მქონდა, რაც დღესაც ასევე სარწმუნოა ჩემთვის როგორც მაშინ: ღმერთს არ უნდოდა ჩვენი ერის გაქრობა დიდი საკაცობრიო ოჯახიდან! „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების“-ო, — აკი გვითხრა რუსთაველმა, რომელიც ღმერთის ენით გველაპარაკება, სწორედ.**

მერე და მერე, ჩვენს წარსულსა და აწმყოში ასე თუ ისე რომ გავერკვიე, ახლა იმ კითხვამ შემაწუხა, თუ რით ვიმსახურებდით „არ რის მქონე, არ რის მცოდნე“, „მტრის ვერ მცნობი, მოყვრის მგმობი“, „გარეთ მხდალი, შინ ძლიერი“ ხალხი უფლის ასეთ კეთილგანწყობას?

ახლა, როცა ჩემი ერის ისტორიიდან და თანამედროვეობიდან, წიგნებიდან და ცხოვრებიდან მიღებული გვარიანი გამოცდილების ტვირთი მაძევს მხრებზე, ასე ვფიქრობ:

ყველაზე მძიმე, ძნელბედობის პირობებში, უზნეობის გაპარპაშებისა და ჩვენი ფიზიკური და სულიერი დაგლახავების ჟამს ჩვენში და ჩვენს შორის აუცილებლად გამოჩნდებოდნენ ხოლმე ზნეობრივი გმირები და სამშობლოს ერთგული რაინდები, რომლებიც, პირველ ყოვლისა, თვითონ ინანიებდნენ თავიანთ თანამოძმეთა სიგლახესა და უგნურებას და მათ ნაცვლად ეწამებოდნენ ისე, ვით ქრისტე ეწამა ჩვენი ცოდვებისათვის.

ასეთი თავდადებული ადამიანები საზოგადოების ყველა ფენაში იყვნენ, მეფეთა და რაინდთა შორისაც, ეკლესიის წიაღშიც, არისტოკრატიასა და გლეხობაშიც. ისინი სხვებს კი არ სდებდნენ ცოდვა-ბრალს, თვითონ ინაწილებდნენ პასუხისმგებლობას. განა ამის მაგალითი არ არის დიდი ილია? მან ის კი არ თქვა, „ქართველისნაირი ბედნიერი განა არის სადმე ერი“-ო, არამედ „ჩვენისთანა ბედნიერი“-ო, — თქვა და ყველა ის შეფასება გაინაწილა, რაც ამ ლექსში დიდი გულისტკივილით ჩამოაყალიბა. ეს ითქმის დავით აღმაშენებელზეც, დავით გურამიშვილზეც, გიორგი სააკაძეზეც, პატარა კახზეც, აკაკიზეც, ვაჟაზეც...

დღესაც არიან ასეთი ვაჟკაცები, ცოტანი, მაგრამ მაინც...

ეს შესავალი იმიტომ დამჭირდა, რომ ჩემი მთავარი სათქმელი ერთნაირად გასაგები (გასაგები და არა მაინცდამაინც მისაღები!) იყოს მკითხველისთვის.

საქმე ძირითადად ეხება რუსეთთან საქართველოს ურთიერთობასა და იმ ავადმყოფურ ანტირუსულ ისტერიას, რომელიც უკვე არა იმდენად პოლიტიკურ, რამდენადაც ფსიქიატრიულ პრობლემად იქცა აშშ-სთვის, ევროპისთვის და, რა თქმა უნდა, საქართველოსთვისაც.

ასეთი აშკარად ბინძური იდეოლოგიური ომი, რაც რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს როგორც ჩვენში, ისე აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში, არა მგონია, ან ეროვნული, ან სოციალური თუ პოლიტიკური ფაქტორებით იყოს განპირობებული. ამაზე ჯერ კიდევ გაუბედავად, მაგრამ უკვე ლაპარაკობენ ევროპელი თუ ამერიკელი პოლიტოლოგები, პუბლიცისტები, ბიზნესმენები.

ამ აღვირახსნილ ანტირუსულ ისტერიას თუ არც ეკონომიკური, არც სოციალურ-პოლიტიკური და ეროვნული საფუძველი აქვს, მაშინ რა ხდება? უმიზეზოდ ხომ არაფერი ხდება და ეს უბედურება რატომ დაატყდათ ხალხებს თავზე? როგორ მოხდა, რომ კაცს მამა დავიწყებია და მამინაცვლის მზეს ფიცულობს, ღვიძლ ძმაზე კი მოსაკლავად მიიწევს?

როგორი რეალისტი და მატერიალისტიც გინდა იყავი, თუ სრულ ჭკუაზე ხარ და სალი ანალიზის უნარი გაქვს, არ შეიძლება, არ ირწმუნო, რომ დღეს კაცობრიობა ბოროტებისა და სიკეთის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის მოწმეა.

ბოროტი ძალები აშკარად, ნიღბის გარეშე გამოვიდნენ დღის სინათლეზე, ბრძოლისათვის შემართულები. ეს თუ ასე არ არის, აბა, რა არის ყოველდღიურობად ქცეული დაუნდობელი ტერორიზმი? თანაც, ცალკეული ტერორისტების მოქმედებები კი არა, რაც შეიძლებოდა ამა თუ იმ სუბიექტის ფსიქიკური გადახრის გამოვლინებად მიგვეჩნია, არა! კოლექტიურმა ტერორმა მოიცვა მსოფლიო. მეტიც! გლობალური მასშტაბის ტერორისტული სახელმწიფოც კი შეიქმნა „ისლამური სახელმწიფოს“ სახით, რომელსაც ირიბი კავშირიც კი არა აქვს ისლამთან, ისევე როგორც ჯვაროსნულ ლაშქრობებსა და ინკვიზიციას არ ჰქონდა კავშირი ქრისტეს მოძღვრებასთან.

„ისლამური სახელმწიფო“ და მისთანანი დაუნდობელ ფიზიკურ ტერორს ახორციელებენ — საჯაროდ, ტელეკამერების წინ თავებს კვეთენ ადამიანებს, მათ შორის, ბავშვებს და მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, როგორც სარეკლამო შოუს; ძირფესვიანად ანგრევენ ისტორიისა და კულტურის ძეგლებს, რასაც საკაცობრიო შეგნება ეფუძნებოდა დღემდე!

იქნებ აქეთ, ქრისტიანულ სამყაროშია დათრგუნვილი და ფრთებშეკვეცილი ბოროტი ძალა? იქნებ აქეთ, აგრერიგად თამამად ვერ აცხადებს ანტიკაცობრიულ, მიზანთროპულ ზრახვებს? პირიქით! აქეთ უარესი ხდება!

შორს რომ არ წავიდეთ, ანტიკაცობრიულმა, სატანისტურმა ძალებმა ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში წამოყვეს თავი და შავი ჭირივით მოედვნენ ევროპას ცნობილი ლოზუნგებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ „ძირს სირცხვილი!“ „ღმერთის რწმენა სიბნელეა!“ „რელიგია ოპიუმია ხალხისათვის!“ „ძირს ღმერთი და ეკლესია!“ „ძირს ოჯახი, გაუმარჯოს თავისუფალ სიყვარულს!“ რაც მთავარია, წინა პლანზე წამოვიდა ყველა დროის ყველაზე დემაგოგიური ლოზუნგი — „თავისუფლება, თანასწორობა!“ ამ ლოზუნგმა — თანასწორობისა და თავისუფლების დაპირებამ ნარკოტიკივით იმოქმედა ხალხზე და ერთბაშად გამოათაყვანა იგი, რადგან, როგორც წესი, უკმაყოფილო ადამიანები არასოდეს უსვამენ თავის თავს კითხვას — „თავისუფლება მინდა, მაგრამ რისგან გათავისუფლების მოსურნე ვარ?“ ან „ვინ ვისთან უნდა გაათანაბრონ? არისტოკრატია პროლეტარიატთან თუ პროლეტარიატი არისტოკრატიასთან?“ ჰო, და იხუვლა ამ გაბრუებულმა ხალხმა და რუსეთის უზარმაზარ იმპერიაში ხელისუფლება სატანისტებს ჩაუგდეს ხელში.

ოქტომბრის გადატრიალებას რუსულ რევოლუციად ნათლავენ ბოროტი ძალები და მათი სატელიტები. არა და ოქტომბრის რევოლუციის ლიდერებს შორის სანთლით რომ ეძებო, ერთ რუსს ვერ იპოვი. აგერ არის რევოლუციური რუსეთის პირველი მთავრობა, ნახეთ იქ ერთი რუსი მაინც თუ ჭაჭანებს!

ბოროტება რუსეთის ხელში ჩაგდებით არ დაკმაყოფილებულა, იგი მსოფლიო რევოლუციით დაემუქრა კაცობრიობას! მაგრამ...

სწორედ რუსეთის წიაღში გამოჩნდა კაცი — „მესიის მახვილი“, რომელმაც ოცწლიან მძიმე ბრძოლაში მრავალთავიანი ურჩხული დაამარცხა და ქვესკნელში ჩააგდო, თუმცა პარალელურად, ევროპის შუაგულში ახალი ურჩხული წამოიმართა, რომელმაც ევროპა რომ გადაუშვა თავის საზიზღარ სტომაქში, მერე აღმოსავლეთისაკენ დაიძრა, მაგრამ აქ უწმინდურ ძალებთან მძიმე ბრძოლებგადახდილი „მესიის მახვილი“ დახვდა და თავისსავე ბუნაგში ჯოჯოხეთის ცეცხლში ჩააგდო ურჩხული. კაცობრიობა ნახევარი საუკუნით მაინც გადაურჩა ფიზიკურ და ზნეობრივ წარღვნას!

„მესიის მახვილი“ ფიზიკურად უკვდავი არ იყო და როცა წასვლის დრო მოუვიდა, წავიდა! ანდერძი კი დაგვიტოვა, მაგრამ მოკლეა მეხსიერება კაცისა და მისი ცდუნება ეშმაკს არ უჭირს. ჰო, და მივიღეთ ის, რასაც XX საუკუნის დასაწყისში ქადაგებდნენ სატანისტები: არა ზნეობას! არა ოჯახს! არა ტრადიციებს! არა ერს! გარყვნილება კულტურაა! ბოზობა — ემანსიპაცია! ნარკომანია პიროვნული თავისუფლებაა!

ევროპამ უკვე გადაყლაპა ახალი კულტურის „აბი გლუკოზა“ და ახლა იქ პედერასტებს რაინდის წოდებას ანიჭებენ. ევროპულ სივრცეში ერთადერთი ქვეყანა რუსეთია, რომელიც მედგრად იცავს იმას, რითიც ადამიანი ადამიანია და არა ცხოველი.

# უვიცი, სულელი, ჩათლახი




ასე გააფთრებით ამიტომ ებრძვიან რუსეთს უწმინდური ძალები ყველა ხერხითა და საშუალებით. ეს ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლოა. ბოროტმა იცის, რომ სიკეთესთან (ამჯერად, რუსეთთან!) მისი მარცხი ზავით კი არ დამთავრდება, არამედ ჯოჯოხეთის ცეცხლითა და გენიით, სადაც ფერფლად იქცევა იგი. ამიტომ განწირულის სულისკვეთებაა მისი ახლანდელი ომი!

ამ ომში სატანა ბევრს გადაიყოლებს ცეცხლოვან უფსკრულში. გადარჩება ის, ვინც „ბილწთ არ შეეკვრის ზავითა!“ ჯერჯერობით კი ბილწთ ბევრი შეეკრა ზავითა, ზოგი უვიცობის, ზოგი სისულელის, ზოგი თავისი ჩათლახობის გამო (შენიშვნა: ჩათლახი თურქული სიტყვაა და პირდაპირი გაგებით გაბზარულ ჭურჭელს ნიშნავს, რომელშიც სითხე არ ჩაისხმება. საზოგადოდ, არასანდო, ცრუ კაცზე იტყვიან ჩათლახიაო).

> **ერთი ჯეელი დურგალთან მივიდა და სთხოვა, თუ კაცი ხარ, ერთი კარგა მსხვილი ლურსმანი ჩამარჭვე თავშიო. შენ ხომ არ შეიშალე, ეგ რამ გაფიქრებინაო, — დურგალმა, პარიკმახერზე ვარ ნაწყენი და მინდა თმის საკრეჭი მანქანა გავუფუჭოო.**

ჩვენი ამოძირკვის მოსურნე ბოროტი ძალა სიკეთის ნიღბითა და რიტორიკით მოდის. მისი იარაღი სიცრუე და ქრთამია. ამ ყველაფერში უხვად არის გარეული ბანგი.

ბოროტმა კარგად იცის, რომ მთელ საზოგადოებას ვერც ნიღბით შეაცდენს, ვერც მოქარგული რიტორიკით მოატყუებს და ვერც ქრთამით გადმოიბირებს. ამიტომ მისი გამრყვნელი ძალისხმევა საზოგადოების იმ ნაწილზეა მიმართული, რომელიც უვიცების, სულელებისა და ჩათლახებისაგან შედგება.

**უვიცი** ცარიელი ქვევრივით არის: რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს. უვიცს ანალიზის უნარი არა აქვს, რადგან ანალიზი მხოლოდ გარკვეული ცოდნის საფუძველზე შეიძლება განხორციელდეს. უვიცს კი ვინ მიაშავა ეს „გარკვეული ცოდნა“, ამიტომ ძალიანაც რომ მოინდომოს, საქმის არსში მაინც ვერ გაერკვევა, მაგრამ მან რომ ის ამოგძახოს, რაც ჩასძახე, რაღაცას აუცილებლად უნდა დაჰპირდე. ეს „რაღაცა“ აუცილებლად ის უნდა იყოს, რაც მას ახლა უნდა და არა შორეულ „ნათელ მომავალში“. ბოროტი ძალა კარგად იყენებს უვიცის ამ თვისებას: სატყუარას რომ მიაჩეჩებს და თან ჩასძახებს წყალი აღმა მიდისო, მიდის და მიჩახჩახებს კიდეცო, — შეჰბღავლებენ კმაყოფილი უვიცები. ეს სატყუარა კი ხან დევალვირებული ოცლარიანია, ხან ერთი ტომარა ფქვილი ათ კაცზე, ხან საჭვრეტელა, საიდანაც „ნატო“ და ევროკავშირის „ედემის ბაღები“ მოსჩანს.

სადაა მერე იმდენი უვიცი იმ ბოროტ ძალას რომ სჭირდებაო, — იკითხავს, ალბათ, ზოგიერთი ურწმუნო თომა. ბევრია, ჩემო თომა, ბევრი! ჩვენშიც და სხვაგანაც! მაგალითებიც მრავლად მაქვს; აქ მხოლოდ ერთს დავასახელებ, რომელიც ნათელყოფს, თუ როგორ აყვავებულა უვიცობა თანამედროვე მსოფლიოში. არ იფიქროთ, საამისო მაგალითად ჩემი უწიგნური მეზობლები ზამირა და ღენტორა დაგისახელოთ, ან თუნდაც ჩვენი ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი, რომელმაც „შალახოს“ ჰანგების თანხლებით საზეიმოდ მოაწერა ხელი, მისი ჭკუით, რაღაც მნიშვნელოვან საერთაშორისო ხელშეკრულებას („შალახო“, ალბათ, საქართველოს ჰიმნის მსგავსი რამ ეგონა!). საამისო მაგალითად, სწორედ, სანიმუშოდ განვითარებული ქვეყნის, აშშ-ის მაღალჩინოსანს დაგისახელებთ: აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ევროპის საკითხებში, ვიქტორია ნულანდმა ამ ორიოდე წლის წინათ საჯაროდ განაცხადა: ვაფრთხილებ ლუკაშენკოსო, თუ მისი ქვეყანა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებში ჩაერევა, აშშ-ს მე-7 ფლოტი ბელარუსის საზღვრებს მიადგებაო. ასე თქვა ნამდვილად და ამ ნათქვამმა მსოფლიოს ყველა ნორმალური პრესის ფურცლები მოიარა. ამასთან დაკავშირებით ერთი წყევლა გამოვიგონე: მანამდე არაფერი ჭამა საქართველოს შინაურმა და გარეშე მტერმა, ვიდრე მე-7 თუ რომელიმე სხვა საზღვაო ფლოტი ბელარუსის საზღვრებს მიადგება!

ისე, გეოგრაფიის ცოდნაში VIII კლასის პროგრამით წამეცადინება არც აშშ-ის ექსპრეზიდენტებს ჯორჯ ბუშსა (უმცროსს) და ბარაკ ობამას აწყენდათ: ერთი ავსტრიასა და ავსტრალიას ერთმანეთისაგან ვერ არჩევს, მეორემ კი ის არ იცის, რამდენი შტატია იმ სახელმწიფოში, რომლის პრეზიდენტიც თვითონ იყო.

ამ ყველაფერზე თვითონ ამერიკის პრესა წერს, ღმერთი-რჯული, მე არაფერი მომიგონია. აბა, ასეთი ერუდიციის პოლიტელიტა რომ ეყოლება დღევანდელ მსოფლიოს სუპერსახელმწიფოს, უვიცობის როგორი ზეიმი იქნება სხვაგან, ხომ წარმოგიდგენიათ!

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის

შემჩნევას, რომ სწორედ აშშ-ს მოახვიეს თავს ბოროტმა ძალებმა „ლიბერასტული დემოტრაკია“ და მისი მეშვეობით უტევენ დანარჩენ სამყაროს. აშშ-ში კაცთან — კაცისა და ქალთან ქალის ქორწინება, ან ინცესტი დიდი ხანია, აღარავის უკვირს, ეს მათი ყოველდღიურობაა! ჯერჯერობით მცირე გაკვირვებას იწვევს ის, თუ როგორ იფსკვნის საქორწინო რეგალიებს ახალგაზრდა (თუ ხნიერი!) ამერიკელი თავის ძაღლთან, ან კატასთან, ან ასწლოვან ჭადართან თუ მუხასთან და მერე, როგორ უტოვებს მემკვიდრეობით ათეულობით მილიონ დოლარს თავის ძაღლს, კატას, ან სულაც იმ ხეს, რომელთანაც „იქორწინა“. დღეს მყარად დამკვიდრდა უკვე ახალი ტერმინი — „ეკოსექსუალიზმი“...

არცოდნა არცოდვა აღარ არის უკვე! უვიცობა მძიმე ცოდვაში ჩავარდნის მიზეზად არის ქცეული.

**სულელი** უვიცისაგან უანგარობით გამორჩეული ტიპია და ამიტომ მის გადაბირებას ქრთამი არ სჭირდება. სრულიად საკმარისია ამა თუ იმ მოვლენაში ბრჭყვიალა ფერებით უჩვენო ის, რაც გინდათ, რომ სულელმა დაიჯეროს და დაიჯერებს უთუოდ! მას ხომ ლოგიკური აზროვნების უნარი არ აქვს. ამიტომაც არის სულელი! სულელების რაოდენობა საზოგადოებაში უვიცებზე ნაკლები როდია და ორივე ერთად საზოგადოების საკმაო ნაწილს შეადგენენ.

**ჩათლახი** ბოროტის ხელში ყველაზე ძლიერი იარაღია, იმიტომ, რომ მან ბევრი რამ იცის და ქრთამის სანაცვლოდ ყველაფერზეა წამსვლელი. მას პრინციპები არ აქვს, არც რაიმე წმინდა და ხელშეუხებელი! ამიტომ მის მიმართ ბოროტი გაათმაგებულ ინტერესსა და სიფრთხილეს იჩენს.

სამწუხაროდ, ჩათლახობა ბოლო დროს ძალიან გავრცელდა ჩვენში. ახლა ისინი უვიცებსა და სულელებზე ცოტანი როდი არიან, მაგრამ საზოგადოებაზე მათი გავლენაა ძალიან დიდი. უვიცებისა და სულელების მოსაზრებანი თუ მხოლოდ მათთვის არის მნიშვნელოვანი, ჩათლახებმა შეიძლება ბევრი ადამიანი წაიყვანონ თავიანთ ჭკუაზე, ჩათლახს შუბლზე კი არ აწერია ჩათლახიაო. საქმეში თუ არ გამომჟღავნდა მისი ჩათლახობა, ისე რას მიხვდები! ცოდნა არ აკლია, ხარისხები და წოდებები უხვად აქვს და გამოცდილებაც დიდი აქვს. ვიდრე მისი ჩათლახობა არ გამჟღავნდება, საზოგადოებაში მოქცევაც უნაკლოდ შეუძლია. ამიტომ სჯერათ ადამიანებს მათი. მათი ბნელი წარსულის ცოდნა ხომ იშვიათად აქვს ვინმეს და თუ აქვს, მის აფიშირებას ყველა კი ვერ ბედავს. ამიტომ არის საშიში ჩათლახი, და, საერთოდ, ჩათლახობა. საზოგადოების ზნეობრივ-სოციალური ეროზია სწორედ ჩათლახობის მიზეზით ხდება. და, აბა, ბოროტი უკეთესს ვის მონახავს და არც ოქროს იშურებს მათთვის.

ახლა მე თუ უვიცობის, სისულელისა და ჩათლახობის კონკრეტული მაგალითები არ დავასახელე, ისე რატომ უნდა დამიჯეროს ვინმემ, ნეტავი? დავასახელებ კიდეც, მაგრამ ერთ რამეს გთხოვთ, პატივცემულო მკითხველო: მე მაგალითებს დავასახელებ და თქვენ თვითონ განსაჯეთ, უვიცს ეკუთვნის იგი, სულელს თუ ჩათლახს.

მაშ, ასე:

— ერთი სუბიექტი, რომელიც თავისთავს პოლიტოლოგსა და ყოფილ დისიდენტს უწოდებს, ოდესღაც თურმე ნობელის პრემიაზეც (!) ყოფილა წარდგენილი, ამას წინათ გაზეთში წერდა: თურქეთის იმპერია ყველაზე კეთილშობილური იმპერია იყო და მისი სიძლიერის პერიოდში საქართველოს სახელმწიფოებრიობა აღმავლობას განიცდიდაო. რუსეთის იმპერია რომ ბოროტების სიმბოლოდ წარმოედგინა, იმიტომ თქვა ის, რაც თქვა!

მე ამ „პოლიტოლოგისა“ და კინაღამ ნობელიანტის ზემოაღნიშნულ გამონათქვამს ერთი ასეთი „დალოცვა“ უნდა მივაყოლო: თურქეთმა ძლიერების ზენიტს XVI საუკუნეში მიაღწია და მაშინ რომ გალაღდა საქართველო, ისე გალაღდეს მისი ყველა მტერი, ძველიც და ახალიც!

— სამეცნიერო რეგალიებით დახუნძლულმა ერთმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ ტელედებატებში მთელი საქართველოს გასაგონად განაცხადა: თუ რაიმე ტერიტორიები გვაქვს დაკარგული, ყველაფერი რუსეთის მიერ არის წართმეული, სხვას ერთი გოჯი მიწაც არ წაურთმევიაო. იქ მყოფმა ერთმა წესიერმა ისტორიკოსმა მორიდებით შენიშნა: აბა, ტაო-კლარჯეთი და შავშეთ-ერუშეთი თურქეთს ნებაყოფლობით, ფეშქაშად გადასცეს ქართველებმაო? ის მიწა-წყალი ბიზანტიისგან ერგო მემკვიდრეობით თურქეთსო, — დაბეჯითებით განუცხადა იმ საზოგადო მოღვაწემ შემკითხველს.

— ერთმა ყოფილმა და ახლანდელმა პოლიტიკოსმა, რომელიც ერთხანს სამტრედიის ხელმძღვანელი იყო, გადაწყვიტა რუსეთისთვის ეკონომიკური ბლოკადა გამოეცხადებინა და რუსეთში მიმავალი სატვირთო მატარებლის მთელი შემადგენლობა სამტრედიის სადგურში რელსებზე მიადუღებინა ხელქვეითებს. მისი ეს მცდელობა რუსეთს არც გაუგია, საქართველოში კი მალე არცერთი საწარმო აღარ მუშაობდა.

ამ პოლიტიკოსის საქციელი ერთ ანეკდოტს მაგონებს ხოლმე: ერთი ჯეელი დურგალთან მივიდა და სთხოვა, თუ კაცი ხარ, ერთი კარგა მსხვილი ლურსმანი ჩამარჭვე თავშიო. შენ ხომ არ შეიშალე, ეგ რამ გაფიქრებინაო, — დურგალმა, პარიკმახერზე ვარ ნაწყენი და მინდა თმის საკრეჭი მანქანა გავუფუჭოო.

— ქართველი პოლიტოლოგები და ე. წ. პოლიტიკოსები ერთ ხმაში გვიმტკიცებენ: აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორიაო.

ძალაუნებურად იფიქრებს კაცი: ამათ ან „სტრატეგიულის“ მნიშვნელობა არ იციან, ან „პარტნიორობაზე“ არა აქვთ წარმოდგენაო.

— ერთმა ყოფილმა მებრძოლმა ათეისტმა (თსუ ათეიზმის კათედრის დოცენტმა), შემდგომში რელიგიათმცოდნემ (რელიგიათმცოდნეობის კათედრის პროფესორმა), ახლა კი, მგონი, ნაფიცმა პოლიტოლოგმა ახლახან გაზეთში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია „რა უფრო მნიშვნელოვანია: მართლმადიდებლობა თუ საქართველო?“

4-5 წლის ბავშვს რომ ეკითხება ქუჩაში შეხვედრილი დედის მეგობარი ქალი: აბა, მითხარი, გენაცვალე, დედა უფრო გიყვარს თუ მამაო, იმ ქალის წასვლის შემდეგ გაკვირვებული ბავშვი რომ ეკითხება დედას: ის ქალი გიჟიაო? სწორედ ეს ეპიზოდი გამახსენა იმ ყოფილი (თუ ახლანდელი!) მებრძოლი ათეისტის წერილის სათაურმა.

არა მგონია, იმ ყოფილი თუ ახლანდელი ათეისტის წერილის სათაური იმ ტუტუცი ქალის შეკითხვასავით უმიზნოდ იყოს გასროლილი. არა! ათეისტი იმ წერილში იმას ამტკიცებს, რომ სარწმუნოებრივი ერთობა ზნეობრივ ღირებულებათა ერთიანობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არაფერს ნიშნავს და თუ მალე დავივიწყებთ ამ ურთიერთდამაკავშირებელ ფაქტორს და მართლმადიდებლობისადმი ერთგულებას არ გადავაყოლებთ საქართველოს, ძალიან კარგი იქნება.

— საქართველოს ერთ-ერთი განათლების მინისტრი თანამდებობიდან რომ გაათავისუფლეს, ხალხს ასე აუხსნეს: სასწავლებლად წავიდა საზღვარგარეთო (განათლების მინისტრი სასწავლებლად საზღვარგარეთ წავიდაო, კაცო!). იუმორი არ გეგონოთ, ასე იყო ნამდვილად. ის მოსწავლე მინისტრი, განათლების მინისტრობამდე საქართველოს გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე იყო. მააშ!

— ერთმა ფრიად ცნობილმა ტიპმა, საქართველოს ყოფილი ძალიან მაღალჩინოსნის შვილმა ტელევიზიით განაცხადა: საბჭოთა პერიოდში ყველა თანამდებობა ხელისუფლების ნებისმიერ შტოში არალეგიტიმური იყო, რადგან არჩევნების გზით არავინ მოსულა ხელისუფლებაშიო.

ეს რომ 20-25 წლის ყმაწვილს ეთქვა, იტყოდი, ისტორია არ იცის და რა ქნასო, მაგრამ იმ ძალიან მაღალჩინოსნის შვილი ოთხმოცი წლისაა და თავისი თვალით ჰყავს ნანახი საარჩევნო უბნებზე ამომრჩეველთა ლამის ასი პროცენტი რომ მიდიოდა. არ მივიდოდა და მისი აჯობებდა!

ახლა იმას რომ გამოვეკიდო, რა სისულელეებს ამბობენ ჩვენი მაღალჩინოსნები ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან, სად წავალთ! დაბალჩინოსნებზე ლაპარაკიც არ ღირს.

აი, ასეთ დღეში მყოფ ქვეყანას, რა გასაკვირია, რომ მტრებსაც და მოყვარესაც ოკეანისგაღმიდან უნიშნავენ და იმასაც კარნახობენ, როგორი წესითა და ადათით იცხოვროს.

ქვეყნის ჯანსაღი ნაწილი, ანუ ისინი, ვისაც ცოდნაც აქვს, ზნეობაც და ერუდიციაც, განუწყვეტლივ კითხულობს — „გვეშველება რამე?“

ვიდრე ამ კითხვას თავს დავანებებთ და საშველს ჩვენსავე თავში არ ვიპოვით, არაფერი გვეშველება!

**ზურაბ ცუცქირიძე**
**(ტელ. 555 567 537)**

◉ „საქართველოს რესპუბლიკის“ პარტნიორობით

# სახალხო მხატვრის გივი თოიძის პატივგება

## ასოციაცია "კულტურათა დიალოგი XXI"

**ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს** (www.diacult.ge) **ერთ-ერთი პრიორიტეტია კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ხელშეწყობა და განვითარება, ქართული კულტურის პროპაგანდა, ხელოვნების მოღვაწეთა პოპულარიზაცია. ამ მიზნით ასოციაციამ გასული წლის ნოემბრიდან დაიწყო ტრეინინგული ხასიათის მრავალპლანიანი ლექცია-სემინარების სერია, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ლექცია-დისკუსიების გარდა, გაიმართება შეხვედრები კულტურის, ლიტერატურის ცნობილ მოღვაწეებთან, წარმატებულ ხელოვანებთან.**

ამჯერად ასოციაცია გიწვევთ შეხვედრაზე გამოჩენილ ქართველ ხელოვანთან, საქართველოს სახალხო მხატვართან, რუსთაველის პრემიის ლაურეატთან გივი თოიძესთან. შეხვედრა გაიმართება შაბათს, 24 თებერვალს, 17 საათზე, „წიგნის სახლში ბახტრიონზე“ (მისამართი: ბახტრიონის ქ. 11ბ). დასწრება თავისუფალია.



გივი თოიძე ქართველ მხატვართა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც აქტიურად გამოვიდა სახვითი ხელოვნების ასპარეზზე მე-20 საუკუნის 60-იან წლებში. ხელოვნებისა და სამყაროს შეცნობას, მათ შინაგან სიახლოვესა და ურთიერთკავშირს გივი თოიძე ეზიარა თავისი ბაბუის, დიდი ქართველი მხატვრის მოსე თოიძის სახელოსნოში, სადაც გამოვლინდა და ჩამოყალიბდა ახალგაზრდა მხატვრის ტალანტი. გივი თოიძის მრავალმხრივი შემოქმედების თემებია ძველი თბილისი, საქართველოს კუთხეებისა და მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქის პეიზაჟები, ნატურმორტი, პორტრეტი, ჟანრული სურათები, მრავალფიგურიანი კომპოზიციები და მონუმენტური მხატვრობა. ჟანრობრივად და თემატურად განსხვავებული ყველა მისი ნამუშევრისათვის სახასიათოა კომპოზიციის აგებისა და სხვადასხვა სამხატვრო ტექნიკის (ზეთი, ტემპერა, გუაში, აკრილი, პასტელი, ტუში, სანგინი და სხვ.) ვირტუოზული ფლობა, მასალის მრავალფეროვნება, ინტენსიური კოლორიტი და მაჟორული გამა. გივი თოიძის ფერწერა მეტად ჟღერადი და კოლორიტულია, გაჟღენთილია ღრმა ეროვნულობითა და საქართველოს სილამაზის სიყვარულით. განსაკუთრებულია მისეული გრაფიკა, რადგან ბუნებით ფერმწერმა მასში კოლორისტული ხედვა შეიტანა. მრავალმხრივი შემოქმედი გივი თოიძე თბილისისა და საქართველოს ისტორიის ერთგვარი მემატიანეცაა, რადგან მის ფერწერულ ტილოებსა თუ გრაფიკულ ნამუშევრებში ასახული მრავალი ხედი, სამწუხაროდ, დღეს უკვე აღარ არსებობს. გივი თოიძემ თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში არაერთი ცნობილი შემოქმედი აღზარდა და დღემდე წარმატებით აგრძელებს პედაგოგიურ მოღვაწეობას. სახალხო მხატვარ გივი თოიძეს მინიჭებული აქვს შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემია ფრესკისთვის „დღესასწაული ხევსურეთში“, დავით კაკაბაძის სახელობის პრემია, არის თბილისის საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, სამხატვრო აკადემიის პროფესორი, მინიჭებული აქვს კულტურის რაინდის წოდება. გივი თოიძის ნამუშევრები დაცულია: ტრეტიაკოვის გალერეაში, აღმოსავლეთის ქვეყნების ხალხთა მუზეუმში (მოსკოვი), პიტერ ლუდვიგის გალერეაში (გერმანია), ასევე მრავალ სხვა ქვეყანაში (აშშ, დიდი ბრიტანეთი, კანადა, საფრანგეთი, ესპანეთი, უნგრეთი და სხვ.), ინახება არაერთ კერძო კოლექციაშიც, მათ შორის, ჯორჯ ბუშის, ჟაკ შირაკისა და სხვ.

**ლექცია-სემინარების კურსის, შემოქმედებითი შეხვედრების გამართვაში ასოციაცია „კულტურათა დიალოგი XXI“-ს პარტნიორები არიან: ბადიაურის აგროსამრეწველო სავაჭრო კომპლექსი, კაფე-გალერეა „წიგნის სახლი ბახტრიონზე“, რესტორანი „თბილისის მუხამბაზი“, საინფორმაციო მხარდამჭერები: საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, TV პირველი, მედია ჰოლდინგი „რეპორტიორი“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“.**

◎ კალათბურთი

# დღეს ღირსების მატჩია!

**საქართველოს** კალათბურთელთა ნაკრებმა ვენაში პირველი ვარჯიში გამართა. ილიას ზუროსის გუნდი „შვეხატ არენაზე“ 1 საათის და 15 წუთის განმავლობაში დაიტვირთა. ბერძენმა სპეციალისტმა გუნდი კომბინაციებზე ავარჯიშა. დიდი ყურადღება დაეთმო დაცვაში თამაშს და სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზის დამუშავებას. ნაკრების 12-ივე კალათბურთელი თავს კარგად გრძნობს. ერთადერთი, ვისაც ტრავმის პრობლემა ჰქონდა, გამოცდილი გამთამაშებელი გიორგი ცინცაძეა, რომელმაც ნაკრების ექიმის თემურ ხვედელიძის განცხადებით, რეაბილიტაციის პროცესი წარმატებით გაიარა და დღევანდელი მატჩისთვის მზად იქნება. ეროვნულმა გუნდმა ვენაში ერთ-ერთი ლიდერის მაიკლ დიქსონის გარეშე ივარჯიშა. დიქსონი გუნდს გუშინ შეუერთდა და საწვრთნელ პროცესში ჩაერთო. ზუროსმა გუნდი ორჯერ ავარჯიშა — დილას და საღამოს. დილით გუნდმა ტრენაჟორების დარბაზს მიაკითხა, შემდეგ ტყორცნებზე წაივარჯიშა, ხოლო საღამოს უფრო ინტენსიური წვრთნა იყო. ზუროსს ძალიან მცირე დრო ჰქონდა, პრაქტიკულად ახალი გუნდის შესაკვრელად და შესათამაშებლად, რაც მარტივი ამოცანა ნამდვილად არ არის. ავსტრიამ ჩვენი გუნდის მსგავსად შესარჩევი ეტაპის ორივე მატჩი დათმო, მაგრამ იოლი მეტოქე მაინც არ გახლავთ. მასპინძლები გამარჯვების მოსაპოვებლად ბევრს იბრძოლებენ. სავარაუდოდ, სრულად გაივსება ტრიბუნები, რომელიც 3 ათას გულშემატკივარს იტევს. საქართველოს საელჩოს ორგანიზებით დარბაზში 100-მდე ქართველიც იქნება.

**პაატა გურასპაული (კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი):** „რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვანია ორივე შეხვედრა, თუმცა, ჩვენი ყურადღება ახლა ავსტრიასთან მატჩისკენ არის მიმართული. ვუყურებ გუნდს, სამწვრთნელო შტაბს და დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანები ყველაფერს გაიღებენ გამარჯვების მოსაპოვებლად. მძიმე ბრძოლა გველის, მაგრამ გვჯერა ჩვენი ბიჭების“.







**გიორგი ცინცაძე (ნაკრების გამთამაშებელი):** „ახლა ნამდვილად არ ვფიქრობთ გერმანიასთან მატჩზე. მთელი კონცენტრაცია ავსტრიასთან დაპირისპირებაზე გვაქვს გაკეთებული და იმედია, რომ გავიმარჯვებთ. რაც შეეხება ჩემს მზადყოფნას, ნამდვილად არ ვარ სასურველ სათამაშო კონდიციებში, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩემი გამოცდილების და მონდომების ხარჯზე, გუნდს სარგებელს მოვუტან“.

**ნიკოლოზ ცქიტიშვილი (ნაკრების თავდამსხმელი):** ახლა ნამდვილად უკეთესად შეთამაშებულები ვართ. ორივე მატჩი მოსაგებია,მაგრამ აქცენტს მაინც ავსტრიასთან შეხვედრაზე ვაკეთებთ. ეს გუნდი გამოირჩევა მაღალი მოთამაშეებით — ცენტრები კარგი ბიჭები არიან, მაგრამ ჩვენ მოედანზე მოსაგებად გავდივართ და იმედია, რომ სასურველ შედეგს მივიღებთ“.

**თემურ ხვედელიძე (ნაკრების ექიმი):** „ნაკრები სრული დატვირთვით ემზადება. ერთადერთი გიორგი ცინცაძე შემოგვიერთდა ტრავმით, მაგრამ ისიც კონდიციებში შედის და გუნდი დღევანდელ მატჩს სრულ მზადყოფნაში ხვდება“.

**ვიტალი ჯაფარიძე**

◎ პიონჩანი — 2018

# აბრამაშვილი 28-ეა

**ქართველი** სპორტსმენებისთვის პიონჩანის ოლიმპიური თამაშები დასრულდა. გუშინ დილით სამთო მოთხილამურე იასონ აბრამაშვილი სლალომში ჩაერთო და ორი ცდის ჯამში 108 მონაწილეს შორის 28-ე ადგილი დაიკავა. აბრამაშვილს 1:47,69 წუთი დასჭირდა და ოლიმპიურ ჩემპიონს — შვედ ანდრე მიერს (1:38,99) 8,7 წამით ჩამორჩა. მეორე საპრიზო ადგილზე შვეიცარიელი რამონ ცენჰოიზერნი (1:39,33) გავიდა, ხოლო მესამეზე — ავსტრიელი მიხაელ მატი (1:39,66).




საქართველოდან პიონჩანის ოლიმპიურ თამაშებზე სულ 4 სპორტსმენი გამოვიდა. იასონ აბრამაშვილმა სლალომამდე გიგანტურ სლალომში მიიღო მონაწილეობა და შეჯიბრებას ნაადრევად გამოეთიშა. სამთო მოთხილამურე ნინო წიკლაურმა სლალომში 39-ე ადგილი დაიკავა, ხოლო გიგანტურ სლალომში — 46-ე. მოციგავე გიორგი სოლოიანმა 32-ე შედეგი აჩვენა, ფიგურული მოციგურავე მორის ყვითელაშვილი კი 24-ე იყო.

**კობა კობახიძე**

◎ ფეხბურთი

# ემერი „რეალს“ ემუქრება

**ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის“ მთავარი მწვრთნელი უნაი ემერი მადრიდის „რეალს“ ემუქრება. როგორც ესპანელმა სპეციალისტმა სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე დაწერა, „რეალმა“ არ იცის, რა ელოდება საფრანგეთში.**

„მიმდინარე სეზონის უმეტეს ნაწილში ჩვენ ვაჩვენეთ, რისი გაკეთებაც შეგვიძლია და განსაკუთრებით, „პარკ დე პრენსზე“, რომელიც გვაძლევს დიდ ძალას და ამას 17 გამარჯვებაც ამტკიცებს საკუთარ მოედანზე. მათ იციან, რომ პარიზში უნდა ჩამოვიდნენ, მაგრამ არ იციან, რაც ელოდებათ. ჩვენ უნდა მოვემზადოთ და მაქსიმალური კონცენტრაცია უნდა გვქონდეს. არც წარსულზე უნდა ვიფიქროთ და არც მომავალზე — მხოლოდ და მხოლოდ ამ შეხვედრაზე. ჩვენ ვითამაშებთ „პარკ დე პრენსზე“, ჩვენს სახლში და გულშემატკივრებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ „პსჟ“-ს ისტორიის გასაგრძელებლად“, — დაწერა სოციალურ ქსელში ემერიმ.

„პსჟ“-სა და „რეალის“ საპასუხო შეხვედრა პარიზში 6 მარტს გაიმართება. პირველი მატჩი ამ გუნდებს შორის „სამეფო კლუბმა“ 3:1 მოიგო და წყვილში ფავორიტად იქცა.

**გიორგი შოთაძე**



◎ თაოგა




# არის მესამე ლიცენზია!

**ქუთაისელმა ტყვიის მსროლელმა ნინო ხუციბერიძემ მსოფლიოს მესამე ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ლიცენზია მოიპოვა. ეს მოხდა უნგრეთის ქალაქ გიორში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, რომელსაც წინ უძღოდა სალიცენზიო ტურნირი. ნინომ პნევმატური პისტოლეტიდან სროლაში მეოთხე ადგილი დაიკავა, რაც საკმარისი აღმოჩნდა ბუენოს აირესი - 2018-ის საგზურის დასაუფლებლად. ლიცენზიას საპრიზო ადგილი იძლეოდა, მაგრამ, რადგანაც სამეულში შესულ რუს იანა ენინას უკვე ჰქონდა ლიცენზია, დარჩენილი ბოლო, მესამე საგზური ხუციბერიძეს ერგო.**

სადღეისაოდ „ჯვაროსნებს“ მსოფლიოს ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების 3 ლიცენზია აქვთ — ძალოსნობაში, მხატვრულ ტანვარჯიშსა და ტყვიის სროლაში.

წინა ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 2014 წლის აგვისტოში ჩინეთის ქალაქ ნანძინში გაიმართა, საქართველოს 13 სპორტსმენი გამოდიოდა. მათ საგრძნობლად გააუმჯობესეს 2010 წლის სინგაპურის პირველი თამაშების შედეგები (1 ბრინჯაო და გუნდური 84-ე ადგილი), ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 1 მედალი აიღეს, გუნდურ ჩათვლაში კი 58-ე ადგილი დაიკავეს.

**ბეჟან დოლიძე**

◎ ჭორ-მართალი

# როკი ბალბოა ცოცხალია

**ერთი ამბავი ატყდა ლეგენდარული ამერიკელი მსახიობის სილვესტერ სტალონეს გარდაცვალებასთან და კავშირებით და ის-ის იყო, მავანთ სამგლოვიარო ცერემონიალისთვის შავი ლენტები და „ვენოკები“ უნდა ეყიდათ, რომ ეს სიცრუე მალევე გამჟღავნდა და იქვე გავრცელდა მოსაზრება, რომ საკუთარი გარდაცვალების შესახებ ჭორი თავად სილვესტერმა გაავრცელა და ამით გვარიანადაც გაერთო.**

სილვესტერის ძმამ ფრენკ სტალონემ სოციალურ ქსელებში ჭორების გამავრცელებლებს გადარეულები და შეშლილები ეძახა, მაგრამ ბოლოს თავადაც ჩაიცინა ულვაშებში და მედიას სოციალურ ქსელებში ამ ხუმრობის გავრცელების პირველწყაროზე, ცხადია, არაფერი უთხრა.

როგორც იცით, სილვესტერ სტალონე ერთადერთი არაპროფესიონალია, რომელმაც კრივის დიდების დარბაზში დაიმკვიდრა ადგილი და ეს, ალბათ, თავადაც ხვდებით, რომ როკი ბალბოას როლის არაერთხელ ფანტასტიკურად შესრულების გამო მოახერხა. დაუმარცხებელ „იტალიელ ულაყს“ (სწორედ ასე ეძახდენენ როკი ბალბოას) კი, როგორც ჩანს, იუმორი სიბერეშიც არ ღალატობს.



საქმე №1/06-2018

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2018 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **ლევან ყულიაშვილი, მზევინარ ფასიეშვილი**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2018 წლის 26 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე ლევან ყულიაშვილისა და მზევინარ ფასიეშვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2016 წლის 24 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა“ და ლევან ყულიაშვილს შორის დაიდო №061615672 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 2500 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 54 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 6 თვე.

2016 წლის 24 ივნისს შპს „ნოვა კრედიტსა“ და მზევინარ ფასიეშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე მზევინარ ფასიეშვილს სამჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე მზევინარ ფასიეშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე მზევინარ ფასიეშვილი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე არ ცხოვრობს, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

1. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე მზევინარ ფასიეშვილს (პირადი №33001002199) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

2. მზევინარ ფასიეშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

3. განემარტოს მოპასუხე მზევინარ ფასიეშვილს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

4. მოპასუხე მზევინარ ფასიეშვილს ეცნობოს, რომ 2018 წლის 15 მარტს 12:30 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით ლევან ყულიაშვილისა და მზევინარ ფასიეშვილის მიმართ.

5. მზევინარ ფასიეშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

6. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

7. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

8. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

საქმე №1/05-2018

# საარბიტრაჟო დადგენილება

შ.პ.ს ,,მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს სახელით

**საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ**

ქ. თბილისი 19 თებერვალი 2018 წელი

არბიტრი: **ქეთევან ტაბატაძე**

საარბიტრაჟო მოსარჩელე: **შპს „ნოვა კრედიტი”**

საარბიტრაჟო მოპასუხე: **გიორგი ციგრიაშვილი, ანზორ ქობელაშვილი**

დავის საგანი: **ფულადი ვალდებულების შესრულება**

არბიტრმა ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა სარჩელისა და თანდართული მასალების, საარბიტრაჟო უწყების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილების მიღების საკითხი და

**გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:**

შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს მიერ 2018 წლის 26 იანვარს წარმოებაში იქნა მიღებული შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი მოპასუხე გიორგი ციგრიაშვილისა და ანზორ ქობელაშვილის მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

მოსარჩელე მხარის განმარტებით:

2015 წლის 30 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა“ და გიორგი ციგრიაშვილს შორის დაიდო №121515045 სესხისა და გირავნობის ძირითადი ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ნოვა კრედიტმა“ მსესხებელზე გასცა 1000 აშშ დოლარის ოდენობით სესხი, წლიური 54 საპროცენტო განაკვეთით. თანხის დაბრუნების ვადად განისაზღვრა 12 თვე.

2015 წლის 30 დეკემბერს შპს „ნოვა კრედიტსა“ და ანზორ ქობელაშვილს შორის გაფორმდა თავდებობის ხელშეკრულება.

მსესხებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაარღვია.

მოსარჩელე მხარემ მოითხოვა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის თანხის მოპასუხეებზე გადახდის დაკისრება.

საარბიტრაჟო სარჩელი თანდართული მასალებითა და საარბიტრაჟო უწყება მოპასუხე ანზორ ქობელაშვილს ორჯერ გაეგზავნა ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე, თუმცა კორესპონდენციის მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგო აღმოჩნდა. როგორც აღნიშნულ გზავნილებზე უფლებამოსილ პირთა მიერ განხორციელებული ჩანაწერებით ირკვევა ადრესატი ხელშეკრულებაში მითითებულ რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე ვერ მოიძებნა.

არბიტრაჟმა განიხილა საქმის მასალები და მიიჩნია, რომ აუცილებლობას წარმოადგენს მოპასუხე ანზორ ქობელაშვილს მის წინააღმდეგ მიმართული სამოქალაქო დავის წარმოებისა და განხილვის დღე ეცნობოს შეტყობინების საჯაროდ გავრცელების გზით. ამ დასკვნის მართებულობას განაპირობებს შემდეგი საფუძვლის არსებობა:

დადგენილია, რომ მოპასუხე ანზორ ქობელაშვილი რეგისტრაციის მიხედვით მისამართზე ვერ მოიძებნა, ხოლო მისი ფაქტობრივი ადგილსამყოფელი უცნობია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, თუ მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას შეტყობინება ვერ ბარდება ამავე კოდექსის 73-ე მუხლის I პრიმა ნაწილით გათვალისწინებულ მოთხოვნათა დაცვით არბიტრაჟი ხელმძღვანელობს ამავე კოდექსის 78-ე მუხლის დებულებებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არბიტრაჟს მიაჩნია, რომ მიღებული უნდა იქნეს დადგენილება საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ, რომელიც უნდა განთავსდეს იმ გაზეთში რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელ ადგილზე.

არბიტრაჟმა იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე, 284-285-ე მუხლით, შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებით

**დ ა ა დ გ ი ნ ა:**

9. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილებით მოპასუხე ანზორ ქობელაშვილს (პირადი №31001016129) ეცნობოს, რომ მის წინააღმდეგ შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს წარმოებაშია შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელი ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით.

10. ანზორ ქობელაშვილს განემარტოს, რომ გზავნილის ჩაბარებიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, შეგიძლიათ წარმოადგინოთ შესაგებელი 2 (ორი) ეგზემპლარად მტკიცებულებებთან ერთად შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11. ასევე შეგიძლიათ გამოიყენოთ ის საპროცესო უფლებები, რომელიც გამომდინარეობს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობიდან, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონიდან და შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ს დებულებიდან.

თქვენს წერილობით შესაგებელში (პასუხში), მითითებული უნდა იყოს: ცნობთ თუ არა საარბიტრაჟო სარჩელს. თუ საარბიტრაჟო სარჩელს არ ცნობთ, რა კონკრეტულ გარემოებებსა და მტკიცებულებებს ემყარება თქვენი შესაგებელი მოსარჩელის საარბიტრაჟო სარჩელის წინააღმდეგ. რა საპროცესო საშუალებით აპირებთ საარბიტრაჟო სარჩელისაგან თავის დაცვას, კერძოდ, ხომ არ აპირებთ შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელის აღძვრას, ხომ არ უარყოფთ საარბიტრაჟო სარჩელის დასაშვებობას. რომელი მოწმე (სახელი, გვარი, საცხოვრებელი მისამართი ან სამუშაო ადგილი) უნდა იქნეს გამოძახებული საარბიტრაჟო სხდომაზე, რისი დადასტურება შეუძლია თქვენს მიერ წარმოსადგენ მოწმეს. ხომ არ გაგაჩნიათ შუამდგომლობები.

11. განემარტოს მოპასუხე ანზორ ქობელაშვილს, მის მიერ შესაგებლის წარმოუდგენლობის შემთხვევაში არბიტრაჟი განაგრძობს საქმის განხილვას. შესაგებლის წარმოუდგენლობა არ ჩაითვლება სარჩელის ცნობად.

12. მოპასუხე ანზორ ქობელაშვილს ეცნობოს, რომ 2018 წლის 15 მარტს 12:00 საათზე შ.პ.ს „მუდმივმოქმედი არბიტრაჟი თემიდა-კ.ტ“-ში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 175/ბორჯომის ქ. №2, ბინა 11, დანიშნულია საარბიტრაჟო განხილვა შპს „ნოვა კრედიტი“-ს სარჩელზე, ფულადი ვალდებულების შესრულების მოთხოვნით გიორგი ციგრიაშვილისა და ანზორ ქობელაშვილის მიმართ.

13. ანზორ ქობელაშვილს ეცნობოს, თუ ის არ გამოცხადდება საარბიტრაჟო განხილვაზე, ვალდებულია არბიტრაჟს აცნობოს გამოუცხადებლობის მიზეზი. თუ დადგენილი წესით გაფრთხილებული მხარე არ გამოცხადდება არბიტრაჟში, არბიტრაჟი უფლებამოსილია მის დაუსწრებლად განიხილოს საქმე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მეორე მხარე ითხოვს საქმის გადადებას.

14. განემარტოს მოპასუხე მხარეს, რომ საარბიტრაჟო გზავნილი და უწყება მასზედ ჩაბარებულად ითვლება წინამდებარე დადგენილების გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

15. საარბიტრაჟო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკა“-ში მოსარჩელე მხარის ხარჯით.

16. საარბიტრაჟო დადგენილებაზე საჩივრის შეტანა არ შეიძლება.

**არბიტრი: ქეთევან ტაბატაძე**

# ს.ს.ი.პ - წიაღის ეროვნული სააგენტოს განცხადება

## სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

**სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.**

| ობიექტი №1 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ;<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. აკურას მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - $C_2$, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 100000 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | თელავის მუნიციპალიტეტი, სოფ. აკურას მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 1 006 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 100,6 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 703 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 თებერვლის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 23 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 23 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 23 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 5 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №2 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ;<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის შემოღობვა და დასუფთავება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N13, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 5 500 $მ^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | ქალაქი თბილისი, ქინძმარაულის ქუჩა N13 |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 178 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე | 17,8 ლარი |
| | (საწყისი ფასის 10 %) | |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 289 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 თებერვლის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 23 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 23 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 23 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |

| ობიექტი №3 | | |
|---|---|---|
| ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების |

| | | |
|---|---|---|
| | | აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ;<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭაბურღილის თავმორთულობის მოწესრიგება, მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავება და შემოღობვა.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).<br>ი) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი სხვა პირობები. |
| 6 | სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტარის მიმდებარე ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა – 100 000 მ$^3$/წელიწადში). |
| 7 | სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა | მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნატახტარის მიმდებარე ტერიტორია |
| 8 | აუქციონის საწყისი ფასი | 3 232 ლარი |
| 9 | ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %) | 323,2 ლარი |
| 10 | უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი | 1 816 ლარი |
| 11 | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2018 წლის 23 თებერვლის დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 23 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 12 | აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი | ელექტრონული აუქციონი იწყება 2018 წლის 23 მარტს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2018 წლის 23 მარტს დღის 18:00 საათზე |
| 13 | სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა | 25 წელი |
| 14 | სხვა მონაცემები | აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში |
| | **ობიექტი №4** | |
| | ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება | სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტო |
| 1 | საიდენტიფიკაციო ნომერი | 202482571 |
| 2 | მისამართი/ტელეფონი | ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57<br>ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725 |
| 3 | ელ–ფოსტა | licenziebi2015@gmail.com |
| 4 | სარგებლობის ლიცენზიის სახე | სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია |
| 5 | სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის | ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან;<br>ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ლიცენზიის გამცემს;<br>გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე;<br>დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება;<br>ე) ლუქის ახსნა-დადება და შესაბამისი აქტის შედგენა რეგულირების საფასურის გადამხდელთა სალიცენზიო ობიექტებზე ხორციელდება – ლიცენზიის გამცემი ორგანოს საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ, ყველა სხვა შემთხვევაში კი – ლიცენზიის მფლობელის მიერ;<br>ვ) ლიცენზიანტი, რომელსაც არ ეხება რეგულირების საფასურის გადახდა, ვალდებულია, ლუქის ახსნის/დადების პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია წარუდგინოს ლიცენზიის გამცემს მისი განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 დღისა. დოკუმენტაცია მოიცავს ფოტომასალას ჭაბურღილის, ჭის ან/და წყაროს X და Y კოორდინატების მითითებით, ფოტოზე ასევე დატანილი უნდა იყოს მოქმედების განხორციელების თარიღი;<br>ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება.<br>თ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების |

| | | |
|---|---|---|
